140
1955/3
საბავშვო განყ.
ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

№ 5
მაისი
1955



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების დროშის აღმართვა რაიხსტაგზე 1945 წლის მაისში

ნახატი უჩა ჯაფარიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ ი ო ნ ე რ ი

№ 5

მაისი, 1955 წ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

წელიწადი XXIX

6904



ჩვენი დროშა

ლაღად ფრიალებს, გვიცინის,
ყველგან დიდებით მოჩანს
ყაყაჩოსფერი, წითელი,
ჩვენი მზიური დროშა.

მშობლიურ სოფლებს, ქალაქებს,
მთა-ბარს სიცოცხლით სავსეს
ის ფრთაგაშლილი დახარის,
ის დაფრიალებს თავზე.

წინ მიგვიძღვება დიდ გზაზე
დიდი ნათელი მისი.
წმიდაა, შეღებილია
ხალხის გმირების სისხლით.

მასზე ოქტომბრის მზე ბრწყინავს,
ბრძოლების ცეცხლის ალი,
სიცოცხლე ბრძენი ლენინის,
ბრძენი სტალინის თვალი.

ის ყველგან გამარჯვებული,
ყველგან დიადი არის,
ქვეყნად ამაღლებს სიმართლე
დიდი საბჭოთა მხარის.

ლაღად ფრიალებს, გვიცინის,
ყველგან დიდებით მოჩანს
ყაყაჩოსფერი, წითელი,
ჩვენი მზიური დროშა.

ჟურნალის ბიბ. საჯ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების პარადი წითელ მოედანზე 1945 წლის 24 ივნისს. სურათზე: საბჭოთა მებრძოლები მავზოლეუმის წინ ჰყრიან დამარცხებული ჰიტლერული არმიის დროშებს.

ცხრა მაისი

ცხრა მაისია... სალამი დიად
გამარჯვებული დროშების ფრიალს.
მრავალ ცხრა მაისს შევესწროთ მზიანს
და სალუტების გრგვინვას და გრიალს!

დიდება კრემლის ვარსკვლავის კაშკაშს,
ჩვენი გმირების მედგარ მარჯვენას.
დიდება წმიდა, უნისლო ლაჟვარდს
და ცხრა მაისის მზეს გამარჯვება!

დროშას დიდება! მარად ბრწყინავდეს
ლენინის დროშა, სტალინის დროშა;
იგი გვიფარავს, იმით ვიმარჯვებთ
ბრძოლების დროს და მშვიდობის დროსაც.

მტკიცედ ვუდგავართ სამშობლო მიწას,
მდელოს, ზეცას და ზღვებს დარაჯებად.

ბუნება ახალ სამოსელს იცვამს
და დღემარადის რეკს გამარჯვება.

ყამირზეც ელავს ცხოვრება დიდი,
ლაჟვარდებს წვდება ქარხნების ბოლი;
ტაიგაშიაც გამქრალა ბინდი
და ყარაყუმში ბიბინებს მოლი.

ჩვენი სამშობლო ასე იზრდება,
ჰყვავის უდაბნო, ჭაობი მოშრა, —
განთიადივით წინ მიგვიძღვება —
ლენინის დროშა, სტალინის დროშა.

ცხრა მაისია... სალამი დიად
გამარჯვებული დროშების შრიალს.
მრავალ ცხრა მაისს შევესწროთ მზიანს,
ვაშა სალუტის გრგვინვას და გრიალს!

გრიგოლ იმედაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ციხისელი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

თანაშემწე

მოთხრობა

ჩემი ნამდვილი სახელი თამაზია. მაგრამ აგერ წელიწადზე მეტია, რაც ამ სახელს თითქმის აღარავინ მიწოდებს, დიდი და პატარა „თანაშემწეს“ მეძახის. მეზობლებსა და ტოლ-სწორებზე რომ აღარაფერი ვთქვა, იმ დღეს ქართული ენის მასწავლებელმაც კი ასე მომაძახა: აბა, „თანაშემწე“ გაკვეთილს მოყევით! მოსწავლეებმა ხარხარი ასტეხეს მის ხუმრობაზე და ჩემსკენ გამოიხედეს. — აბა რა ჰქნასო, აბა თუ იწყინოსო. ბრიყვები! ზოგიერთს ჰგონია მე ეს სახელი მწყინს და გამოსაჯავრებლად შემარქვეს. ის კი არ იციან, რომ ნამდვილ სახელსაც მირჩევნია.

ეს სახელი ჩვენი მტს-ის ყოფილმა ტრაქტორისტმა, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ძია გიორგიმ შემარქვა. ამიტომ როდესაც „თანაშემწეს“ დამიძახებენ, თვალწინ მაშინვე მისი კეთილი სახე წარმომიდგება, მასთან გატარებული სიხარულით სავსე დღეები მაგონდება, და მის შერქმეულ სახელსაც ისე ვთვლი, როგორც ჩვენი გულითადი მეგობრობის მოსაგონარ ძვირფას საჩუქარს. რომელიც მან იმ დროს დამიტოვა, როცა შორს, ძალიან შორს მიდიოდა სოფლიდან.

შარშანწინ შემოდგომაზე, ნასიმინდარს რომ ვხნავდით, მთელი ორი კვირის განმავლობაში გვერდიდან არ მოვცილებივარ. სულ კაბინაში ვუჯექი მოჩვეული ჩიტივით და რაღას არ ველაპარაკებოდი ერთთავად მუშაობაში გართულს. გაივლიდა ან გამოივლიდა ვინმე ნაცნობი და მიესალმებოდა ტრაქტორისტს. შემომხედავდა — მის გვერდით ვიყავი დასკუპული — ჩემს ვინაობასაც გამოჰკითხავდა. რა უნდა ეპასუხა? თავმჯდომარე მე არ ვიყავი და ბრიგადირი, არც ტოლი ბიჭი, არც ნათესავი. ჰოდა, რაკი გვერდიდანაც არა ვიცილდებოდი, მოკლედ პასუხობდა ყველას: „თანაშემწეაო“.

მე გული რეაქტიულ თვითმფრინავზე მელევა — ცაზე რომ გადადის ქუხილით. ტრაქტორისტობა არასდროს ფიქრად არ მომსვლია. ესეც არ იყოს, რა თანაშემწეობის გაწევა შემეძლო ტრაქტორისტისათვის? ათას-ში ერთხელ ცივ წყალს თუ მოვურბენინებდი ბოთლით და ეგ იყო სულ. ისიც კარგად ვიცოდი, რომ „თანაშემწეს“ ხუმრობით მეძახდნენ. მაგრამ რაკი ძია გიორგი მიყვარდა, და ისე მიყვარდა, რომ ყოველ ცისმარე მასთან გავრბოდი, მისი შერქმეული სახელიც ჭკუაში მომდიოდა და თუ ვინმე მკითხავდა: „რას ჩამოჰკიდებიხარ, ბიჭო, მაგ კაცს, რა შენი ტოლი ნახეო“, უყოყმანოდ ვპასუხობდი: „თანაშემწე“ ვარმეთქი.

„თანაშემწეს“ პირველად მარტო ძია გიორგი მეძახდა; სხვები კი ისე რა, ხანდახან თუ მომაძახებდნენ ხუმრობით. მაგრამ ერთმა უცნაურმა შემთხვევამ ისე მაგრად მომაკერა ეს სახელი, რომ, თუნდაც ძალიან მდომებოდა, მაინც ვეღარაფრით მოვიცილებდი.

* * *

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მე და ძია გიორგი ჩვენი სახლის ქვემოთ გადაჭიმულ ვეებერთელა ვაკეს ვხნავდით და ტრაქტორის ხალისიან გუგუნს ოროველას ვაყოლებდით, ვიღაც ჩალისქუდიანმა, მხარზე ფოტოაპარატჩამოკიდებულმა ხმელ-ხმელმა კაცმა გზა გადაგვიჭრა და ტრაქტორისტს ხელით ანიშნა — გააჩერეო. ძია გიორგიმ ტრაქტორი შეაჩერა და უსიტყვოდ, თვალებით შეეკითხა რა გნებავთო. უცნობი ახლო მოვიდა, ბოდიში მოიხადა შეწუხებისათვის და ტრაქტორისტი გიორგი რჩეულიშვილი იკითხა. ძია გიორგიმ მხნედ მიუგო, მე გახლავართო!

— თქვენა ბრძანდებით? კეთილი, კეთილი! კანტორაში ვიყავი და იქიდან მომასწავლეს. ადვილად კი მოგაგენით. — წარმოთქვა მან ღიმილით და ხელი გამოუწოდა ჩამოსართმევად.

ძია გიორგიმ უყოყმანოდ ჩაბღუჯა მისი პატარა ხელი.

— თბილისიდან გახლავართ, — განაგრძო მოსულმა, — სურათი მინდა გადაგიღოთ გაზეთისთვის. თუ საწინააღმდეგო არაფერი იქნება, გთხოვთ...

და სიტყვა აღარ დააბოლოვა, აპარატის მომართვას შეუდგა.

— სიამოვნებით! — წყნარად წარმოთქვა ტრაქტორისტმა და ნათქვამი სახითაც გამოხატა.

მე წუთით ყველაფერი ნათლად წარმოვიდგინე. თვალწინ წარმომიდგა გაზეთი, რომელსაც ჩვენი სოფლის გოგო-ბიჭები ხელიდან სტაცებენ ერთმანეთს, ხოლო ზედ მე და ძია გიორგი ვართ გამოხატული ტრაქტორთან ერთად. ამაზე უფრო დიდი სიხარული?... და შევფორიაქდი გალიაში დამწყვდეული ჩიტივით. გული გადმოვარდნაზე გამიხდა. მაშინვე გადმოვხტი კაბინიდან, ძია გიორგის მივეკარი თეძოზე და სულმოუთქმელად დავუწყე ლოდინი, როდის მომართავდა ფოტოგრაფი აპარატს და გადასაღებად გაგვასწორებდა.

მაგრამ ფოტოგრაფი ძალზე თავისებური კაცი გამოდგა. არც გასწორება, არც გამოსწორება, არც სხვა დავიდარაბა, ზოგიერთმა ფოტოგრაფმა რომ იცის თავისი ხელობის გამოსაჩენად. დააყენა თუ არა აპარატი, ერთი-ორი ნაბიჯი თვითონ გადადგა უკან და შეემზადა გადასაღებად.

მე შევიშმუშნე, სურათის გადასაღებად მოვემზადე, ფეხები ერთმანეთზე მივატყუპე, ხელები ძირს ჩამოვუშვი და თავიც ჩემის ფიქრით, ისე, დავიჭირე, როგორც სურათისთვის იქნებოდა უკეთესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურათის გადასალებად მოვემზადე: ფეხები ერთმანეთზე მივატყუპე, ხელები ძირს ჩამოვუშვი...

მაგრამ ფოტოგრაფმა, თითქოს რაღაცაზე შეყოყმანდაო, გადასალებად გამზადებული აპარატი თვალიდან მოიცილა და იჭვნეულად, შემპარავად შემათვალიერა. მე მაშინვე მივხვდი რასაც მიმზადებდა, თვალი ავარიდე მის ცბიერ გამოხედვას და ძია გიორგის ორივე ხელით მაგრად მოვეჭიდე ბოძივით ბარძაყზე. ფოტოგრაფი ადვილად მიხვდა ჩემს ურყევ გადაწყვეტილებას და გულიანად გადაიხარხარა. ძია გიორგიმაც გაიცინა და თავისი განიერი ხელი ქუდივით დამაფარა თავზე. მაშინ ფოტოგრაფმა ტრაქტორის კაპოტზე მიმითითა: „რაკი აგრეა, აგე, იქ ადი, უკეთ გამოჩნდებიო!“ ხოლო, როდესაც ამიტაცა ძია გიორგიმ და სკვინჩასავით ჩამომასკუპა ნაჩვენებ ადგილზე, ფოტოგრაფის ხარხარს დასასრული არ უჩანდა: ულვაშებმოპარსული ტუჩი ღრძილებს ზემოთ მიურბოდა, ოქროს კბილებს აჩენდა, თვალებს ჭუტავდა. ძია გიორგიც იღიმებოდა, მეც ვიცინოდი, მხოლოდ არ ვიცოდი რისთვის.

ფოტოგრაფმა სამჯერ-ოთხჯერ გადაგვიღო სურათი. აპარატი ტყავის ბუდეში მოათავსა და ძია გიორგის დაემშვიდობა. წასვლის წინ კიდევ მოიხადა ბოდიში „დრო წაგართვითო“, მერე ჩემთან მოვიდა, ლოყაზე ხელი მომითათუნა, კიდევ გაიცინა და გზას გაუდგა.

* * *

იმ დღესვე, სადამდეც კი ხელი მიმიწვდებოდა, მთელ სოფელს მოვდე, რომ ძია გიორგისთან ერთად გაზეთში ვიქნებოდი გამოხატული. არა სჯეროდათ. ვიფიცებოდი, მიწაში ვალაგებდი ჩემიანებს, თუ ტყუილი იყოს-მეთქი. ძია გიორგისთან გარბოდნენ საკითხავად — ისიც უდასტურებდა მართალიაო. ზოგს გულწრფელად უხაროდა ჩემი ბედნიერება და წინასწარ მილოცავდა, ზოგს უყვირდა: ვინ შენ და ვინ გაზეთიო, ზოგს კი შურით ევსებოდა გული და დანანებით ამბობდა: ვაჰ, რატომ მეც იქ არ ვიყავიო!

მე თვითონ სულ გამოვიცვალე იმ ცოტა ხანში. ერთ ადგილზე ველარ ვჩერდებოდი. თუ ვინმეს სადმე გაგზავნას ეტყოდნენ — მე გავრბოდი, თუ ვინმე რამეს იკითხავდა, ვიცოდი თუ არ ვიცოდი, სხვის მაგივრად მე ვპასუხობდი. გაიცინებდა ვინმე და სიცილით ვიღრჩობოდი. ხალხში თავაყინჩული დავდიოდი. თვალწინ სულ გაზეთი მელანდებოდა. იყო თუ არ იყო საჭირო, სულ იმაზე მინდოდა მელაპარაკა.

ვახშმისთვის ჭამის მადა წამერთვა და, ლოგინში რომ ჩავწექი, გვიანობამდე არ დამძინებია. მაგრამ ნეტა სულაც არ დამძინებოდა, — მთელი ღამე აბდაუბდა სიზმრებში გავატარე. დამესიზმრა, ვითომ ფოსტალიონმა ახალი გაზეთი მოიტანა, რომელშიაც ჩვენი სურათი იყო დაბეჭდილი. მაგრამ ეს რაა? ტრაქტორის მაგივრად გაზეთში ცხენი იყო გამოხატული, რომელზედაც მე, ჩვენებიანთ რეზო, ნუცა და თინა ვისხედით გამწკრივებული, ხოლო ცხენის წინ მეჯინიბე ნიკოლოზა იდგა აღვირში ხელჩავლებული და ხეშეშა ულვაშებში იღიმებოდა. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი გავიგე, რა ჰქონდა საერთო ცხენს ტრაქტორთან, ანდა მეჯინიბეს — ძია გიორგისთან. ხოლო თუ ყვილაფერი ეს თავის რიგზე იყო, მაშინ ჩვენი უბნის ბავშვებს რაღა უნდოდა იქ? ისინი ხომ სურათის გადაღებისას იქ არა ყოფილან? მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მოვიდა მამაჩემი და გვითხრა: „ეიყოფათ ახლაო“. მერე გაზეთი გამოგვართვა, ჩაყარა შიგ ტარო და ზურგსმოდებული სასიმინდესაკენ გაიქანა. რაკი ყველაფერი აირ-დაირია, ასავალ-დასავალი ველარ გავუგე სიზმარს, თანდათან წავედი გაურკვევლობის ბურანში და ღრმა ძილში ჩავიძირე. მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ხნით. მალე ისევ ჩამებღაუჭენ უცნაური სიზმრები, ოღონდ პირველისაგან განსხვავებული. ამჯერად, გაზეთიც გაზეთსა ჰგავდა, სურათიც სურათს, მხოლოდ მე არა ვჩანდი მთლიანად. მარტო მარცხენა მხარე: ყური, ხელი და ფეხი მიჩანდა, დანარჩენზე კი ჩრდილი მადგა. მაგრამ ეს მხოლოდ გაზეთის ერთ გვერდზე, მეორეზე კი ძია გიორგი ურემთან ერთად იყო გადაღებული. მე კი განიერზურგიანი კამეჩების წინ ვიდექი ჯოხით ხელში და ერთი მათგანის დუჟიანი დრუნჩი შიგ თვალებში მეჩხირებოდა. ისევ წავედი ბურანში, ისევ ამოვტივტივდი სიზმრებში. მესიზმრა ათასნაირად, ისედაც, ასედაც, მაგრამ როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილეში უნდა ყოფილიყო ისე კი არა და არა.

მეორე დღეს — არაფერი. თუმცა რაღა არაფერი, მთელი დღე აფორიაქებული ვიყავი. აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა. ძია გიორგისთანაც კი ვეღარ გავჩერდი. სულ ალმა-დალმა დავეხეტებოდი, წარამარა მზეს შევცქეროდი, სახლებისა და ხეების წინ მოკალათებულ ჩრდილებს ვაკვირდებოდი, წაიგრძელეს თუ არა წვეროები ალმოსავლეთით-მეთქი, მაგრამ, თითქოს განგებ, ყველაფერი აგვიანებდა, დრო ზოზინით გადიოდა, დღეს დასასრული არ უჩანდა...

მესამე დღეს კი, როცა დიდი ტანჯვისა და გულის გამლალავი ლოდინის შემდეგ სანატრელმა საღამომ მოაღწია, ავდექი და პირდაპირ კლუბ-კანტორისაკენ გავეშურე უბნის თავში, სადაც თითქმის მთელი სოფელი იყრიდა თავს სამასლაათოდ, და ფოსტალიონიც პირველ რიგში აქ ჩამოატარებდა ხოლმე გაზეთებით გაბერილ ჩანთას.

როგორც კი შემამჩნიეს ცაცხვის ძირას ფიცრულ სკამებზე ჩამომსხდარმა გოგო-ბიჭებმა, მაშინვე ასტეხეს კიჟინა, „მოდის, მოდისო!“ სოფელში ლაზღანდარობით განთქმული გაბარჯგული ვასო ჯგუფს გამოეყო, დაკეცილი გაზეთი ხელში შეათამაშა და მომაძახა: „მოდი, მოდი, ჩვენი ძმა, აქა ხარ გამოჭიმულიო!“ მერე მოკისკისე ამხანაგებს მიუბრუნდა, რაღაც უჩურჩულა და ყველანი ჩაჩუმდნენ.

მე გული გადმოფრენაზე გამიხდა. მივიწევ ფაფხურით, აქოშინებული, და მგონია, რომ ფეხებს არც კი ვადგამ მიწაზე. აი მივალწიე როგორც იქნა. მელიმება. თვალები გაზეთისაკენ მიმირბის. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა გამეფებული ყველა მე შემომცქერის, მე კი არავის არ ვხედავ შეკუნტულ. ლაზღანდარა ვასო გაზეთს ისე კეცავს, რომ მარტო მე და ძია გიორგის სურათი გამოჩნდეს და ხელში მაწვდის. მაგრამ!... რის მე და ძია გიორგი!... აგერ ტრაქტორი, მის გვერდით გაღიმებული ძია გიორგი, მე კი... მე... არსად! და ფერდაკარგული, შემლილივით ვკითხულობ:

— თანაშემწე?!

— საღორეში!

უმალვე მპასუხობს ვილაც და ირგვლივ ყველაფერი სიცილ-ხარხარში ირყევა.

გონება მიბნელდება. თავი სიზმარში მგონია. თანდათან ბურანში მივდივარ. თვალებიდან ვეღარაფერს ვხედავ — ცრემლები მიმლის და ყურებშიაც ძლივს-ძლივობით მესმის, რომ ვილაცა აწყნარებს ხალხს: — კარგით, კარგით! გეყოფათ ხუმრობა! ხომ ხედავთ ცრემლი მოსდის! მოიტანეთ გაზეთი, ეს ხომ შარშანდელია, შარშან რომ იყო ჩვენი ტრაქტორისტი გამოხატული. მოიტანეთ ახალი გაზეთი, ნახოს თავის თავი!

და ეს ვილაცა ისევ მაჩეჩებს ხელში გაზეთს. მე ცრემლიან თვალებს სახელოთი ვიწმენდ და სურათს ვაცქერდები, რომელიც ზუსტად ისეთივეა როგორც წეღანდელი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა კაპოტზე, იმ ადგილას, სადაც მე ვიჯექი სურათის გადაღების დროს, ხელებგაჩაჩხული მახინჯი ტიკინაა ფანქრით მიბღაჯნილი და გვერდით მოზრდილი ასოებით უწერია: „თანაშემწე“.

მე გაზეთს თვალებში ვაფერთხებ მის მომტანს და დაბღვერილი მივლასლასებ სახლისაკენ, ხოლო უკან გოგო-ბიჭების ლრიანცელი და აგდებული შეძახილები მომდევს.

— თანაშემწე?
— საღორეში!—უმალვე მპასუხობს ვილაც და ირგვლივ ყველაფერი სიცილ-ხარხარში ირყევა.

* * *

გაზაფხულს მოუთმენლად მოველოდი. ძია გიორგი დამპირდა რაკი ასე ივაგლახა იმ ქალაქელმა ფოტოგრაფმა, გაზაფხულზე მე ვიცოდე, გაზეთში თუ არა ჟურნალში მაინც გამოგხატავ ჩემთან ერთადო. ძია გიორგის როდი უყვარს ჰაერზე ლაპარაკი. რაკი აღმითქვა, ვიცოდი კიდეც შეასრულებდა. ესეც არ იყოს, ის ხომ კარგად ვიცოდი, რომ ბადალი არა ჰყავდა ტრაქტორზე მუშაობაში? მაშ ვის დახატავდნენ გაზეთში თუ არა მას?

და მოველოდი გაზაფხულს, ხვნას, ძალუმი ტრაქტორის მოუღლელად გუგუნს... მაგრამ, ეჰ, რაღა გავაგრძელო, არც აქ გამიღიმა ბედმა; რაკი ერთხელვე გაგიფრინდება ჩიტი ხელიდან, იმას რაღა დაიჭერს?

ერთ საღამოს, როცა უკვე ლოგინში ვიყავი გახვეული და ჩვენებიც დასაწოლად ემზადებოდნენ, მამაჩემმა სრულიად მოულოდნელად განაცხადა: გიორგი ყამირზე წასულაო სამუშაოდ. ტყვიასავით მეცა გულზე. მე არ ვიცოდი ყამირი სად იყო, მაგრამ გული როგორღაც მიგრძნობდა, რომ შორს უნდა ყოფილიყო. თითქოს გაგონილიც კი მქონდა უფროსებისაგან „ყამირი მიწები“, მაგრამ არავისთვის არაფერი მიკითხავს ამის შესახებ. ახლა კი უმალვე მოვიშვლიპე საბანი წელს ზემოთ და ლოგინიდან წამოვიწიე, მაგრამ პაპაჩემი წამომებანდა.

— გიორგი, რომელი? — თვალების მოჭუტვით იკითხა მან.

— ტრაქტორისტი, აგერ, ამისი „უფროსი“ — მამაჩემმა ჩემსკენ მოაბრუნა სახე.

პაპამ ტკბილად ჩაიღიმა ჭაღარა ულვაშებში და წყნარად, სულ წყნარად წარმოთქვა: — ყოჩაღი ბიჭია, ყოჩაღი, ვენაცვალე იმას.

ახლა დედაჩემმაც დაუკრა კვერი:

— იჰ, რა გააჩერებს იმას ერთ ადგილზე!

— მამი, სად არის ყამირი? — მოუთმენლად ვკითხე მე.

მამაჩემი დასაწოლად ემზადებოდა, ფეხთ იხდიდა. თავი არც კი აუწევია მაღლა, ისე მიპასუხა ძუნწად: „ციმბირშიო“.

მამა ყოველთვის მიკრძალავდა უფროსებთან ლაპარაკში ჩარევას. ამიტომ ახლაც ვიფიქრე, გაქირდვის მიზნით მიპასუხა-მეთქი ასე, და უკმაყოფილოდ წავიფარე საბანი თავზე. „ციმბირი“ არსენას ლექსიდან მქონდა გაგონილი: „საციმბიროდ გაამწესეს, ცალი წვერი მოჰპარსესაო“. პაპაჩემისაგანაც ხმირად მომისმენია: წინათ, მეფის დროს რევოლუციონერებს ასახლებდნენ იქო, ძალიან ცივი ადგილიაო; გავიფიქრე: ძია გიორგის რა ესაქმება ციმბირთან-მეთქი და მივყუჩდი ჩემთვის.

მეორე დღეს კი ბუხართან მიმჯდარი პაპა დავიმარტოვე და ყელზე შევები, შევეხვეწე ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა, რაც კი იცოდა „ყამირი მიწების“ შესახებ.

პაპამ თავისი ხელოვნით მაგარი ხელ[illegible] შემომხვია წელზე, ახლო მიმიზიდა თავისკენ და წაწვეტებული ულვაშების ცმაცუნით ყველაფერს დალაგებით მომიყვა. რომ იცოდეთ როგორ დავლონდი, როცა მამაჩემის მიერ მოცემული უტმური პასუხი მართალი გამოდგა! მე ცნობისმოყვარეობით თვალებგადიდებული ვუსმენდი პაპას და კარგად გავიგე რომ, თურმე, ციმბირის დასავლეთი ნაწილი, ყაზახეთი და ურალი ერთი მეორეზე ყოფილა გადაბმული. იმ მხარეში ყოფილა იმთავითვე მოუხნავი თვალუწვდენი ველები, სადაც, თურმე, ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს ყოველი კუთხიდან სამუშაოდ მიეშურებიან ყველაზე უფრო უკეთესი ახალგაზრდები, რათა სულ მალე ჩვენმა ქვეყანამ პურის ჯერ არნახული მოსავალი მიიღოს.

რაკი ეს გავიგე, აბა რად გამიკვირდებოდა ძია გიორგის იქ წასვლა! ბოლოს ღიმილით მითხრა პაპამ, — ტრაქტორი იმას უყვარს და სახნავიც აბა იქ არის, რაც არისო, თუ კაცს ბურთი უყვარს, მოედანიც ხომ უნდაო.

რაღა მეტი გზა მქონდა, ბედს შევურიგდი. მაგრამ გულში მაინც ჩამრჩა რაღაც ფარული სევდისნაირი, რომელიც გაზაფხულზე სახნავად გასული პირველი ტრაქტორის გუგუნმა ერთ ხანს ისევ გამიცხოველა. ძია გიორგის შემცვლელმა ტრაქტორისტმა შემატყო, რომ ნაღვლიანად შევცქეროდი მის მანქანას და გულთბილად მითხრა: „წამო, ჩიტუნიავ, ახლა ჩემთან იყავი თანაშემწედო“. ერთი ხანობა ვიფიქრე: იქნებ ესეც გამოხატონ-მეთქი გაზეთში და მართლაც გავყევი, მაგრამ თვალში არ მომივიდა მისი მუშაობა და უმალვე მოვცილდი თავიდან.

* * *

ერთხელ, ეს იყო გასული წლის მაისში, მამაჩემმა რუსული გაზეთი მოიტანა სახლში და რაღაც ეშმაკური ღიმილით გამომიწოდა: თვალი გადაავლეო. მე გაკვირვებით შევხედე მას, რა დიდი რუსულის მცოდნე მნახა-მეთქი, მაგრამ გაზეთი მაინც გამოვართვი და განვმარტოვდი. ეზოში გავედი, ყაკლის ფესვზე ჩამოვჯექი და საქმეს შევუდექი.

პირველ რიგში, რაღა თქმა უნდა, სურათებს დავუწყე ძებნა. პირველ გვერდზე რომელიღაც დიდი ქარხანა იყო გამოხატული წოწოლა საკვამურით. ერთი შევათვალიერე და ფრთხილად გადავშალე გაზეთის მეორე გვერდი. მაგრამ ვაიმე, რას წავაწყდი! ჩემს წინ აისახა ტრაქტორი და მის სახლო გაჩერებული შავ ულვაშებში მმობლიურად გაღიმებული, ტანსრული, ჩექმებიანი კაცი, რომელსაც გვერდით პატარა ბიჭუკელა მიჰკვროდა გაბუსხული. და ნეტავ სად მქონდა იმხელა ხმა! შეშინებულივით წამოვიყვირე:

— ძია გიორგი!

მამაჩემმა, რომელიც თურმე შორიდან მითვალთვალებდა, ჩემს წამოყვირებაზე გულიანად გაიცინა და მეც მაშინვე მისკენ გავექანე კიჟინით:

— მამი, მამი, ეს ხომ ძია გიორგია, — ჩვენი ტრაქტორისტი!

— ჰო, ჰო, ბიჭო, ის არის, ისა! რა დაგემართა? ნეტა კი არ გაგიჟდე და...

მამამ გაზეთი გამომართვა და დამარცვლით მითარგმნა: „სურათზე: მოწინავე ტრაქტორისტი გიორგი რჩეულიშვილი და მისი პატარა მეგობარი ვიტია ნოვოსელცევი“.

— თანაშემწე! — აღელვებით წამოვიძახე მე. — თანაშემწედ აიყვანდა უთუოდ. აგე, სად შეასრულა თავისი პირობა. აქ რომ ყოფილიყო, ხომ... — სიტყვა ვეღარ დავამთავრე, ხმა გამებზარა, გული ყელში ამომეჩარა.

— ჰო, აქ რომ ყოფილიყო, შენ იქნებოდი ვიტიას ადგილას, — დამიდასტურა მამაჩემმაც.

და იმ წუთში რომ ის თბილისელი ფოტოგრაფი გამოჩენილიყო, რომელმაც ისე უტიფრად გამაწბილა მაშინ, ოხ, გამწარებული უთუოდ ქვას დავუწყებდი ძებნას ზურგში მისაყოლებლად.

იმ დღესვე გამოვართვი მისამართი ძია გიორგის დას, დეიდა ქეთოს, და წერილის წერას შევუდექი. ვწერდი და მინდოდა, რომ გულიც შიგ ჩამეტანებინა სიტყვებში. ვწერე, ვწერე და იმდენი ვატარე კალამი, რომ რვეულის ორი ფურცელი მთლიანად შემოვატარე. მაგრამ როგორ გამკენწლა გულზე, როცა უკვე ბარათი გავგზავნე და მხოლოდ მერე გამახსენდა, რომ მილოცვა, გულითადი მილოცვა იმ დიდი გამარჯვებისათვის, რისთვისაც ის გაზეთში იყო გამოხატული, წერილში არ დამიწერია. მაგრამ რაღას მივეწეოდი!

პასუხი ძალიან მალე მივიღე. არ მეგონა თუ ისე მალე მოვიდოდა. მითხრეს, თვითმფრინავს დააქვს ფოსტაო. უნდა გენახათ რა დღეში ჩავვარდი, როცა ფოსტალიონმა მისი წერილი გადმომცა. ოჰ, მეტი სიხარულით ისე დამიმსუბუქდა ტანი, ქარს რომ შემოებერა, მგონი ბუმბულივით გამაფრენდა ცაში. კონვერტზე პირდაპირ ასე ეწერა: „მიიღოს თანაშემწემ“.

— აუჰ, ჭირიმე შენი! — აღტაცებით წამოვიყვირე და სახლისაკენ დავეშვი კისრისტეხით. დაუოკებელი შმაშურით მივუჯექი ჩემს საწერ მაგიდას — ფანჯარასთან რომაა მიდგმული — წინ ძია გიორგის და ვიტიას სურათი დავიდე. [illegible] დოდა: თან წერილი წამეკითხა, თანაც [illegible] მეყურებინა; საჩქაროდ გავხსენი კონვერტი, გავშალე წერილი და მისი ხელით დაწერილ პირველ სტრიქონს მოუთმენლად გავაყოლე თვალი, რომელიც საგანგებოდ ჩემთვის იყო გამოყვანილი ერთი-მეორეზე გადაუბმელი მრგვალი ასოებით: „სალამი და გამარჯვება, ჩემო პატარა თანაშემწევ!“ — იმ წამსვე შევხედე მის სურათს, მის ფართოდ გაღიმებულ სახეს და... ღაპა-ღუპი გადმომცვივდა ცრემლები.

* * *

მას შემდეგ აღარ შეწყვეტილა ჩვენს შორის მიწერ-მოწერა. ამჟამად ის ჩრდილოეთ კავკასიაში მუშაობს. ვიტიას მშობლები მოსკოვის ოლქიდან ყოფილან ჩასულნი. თვითონ ვიტია ჩემზე პატარა ყოფილა, — ექვსი წლის, გაისათ ივლისს სკოლაში. მამამისიც ტრაქტორისტი ყოფილა, მაგრამ ის, თურმე, ძია გიორგის არა სცილდება და მასაც, თურმე, „თანაშემწეს“ ეძახიან უფროსები.

გასულ შემოდგომას ერთი კოხტა ყუთი შევკარი და საგულდაგულოდ დარჩეული ვაშლი გავუგზავნე. პირველად ყურძნის გაგზავნა დავაპირე, მაგრამ პაპამ არ მირჩია: მგზავრობას ვერ აიტანს, შეილახებაო. იმ ვაშლებს კი, რომელიც ვიტიასთვის შევარჩიე საგანგებოდ, პატარა ქაღალდები დავაწებე და მელნით დავაწერე: „ვიტია“. პასუხად ძალიან დიდი მადლობა მივიღე, როგორც ძია გიორგისაგან, ისე ვიტიასაგან. ძია გიორგი მწერდა: ვიტიას სიხარულით კინაღამ თვალები გადმოსცვივდა, მის სახელზე გამოგზავნილი წითელი ვაშლები რომ დაინახაო. მე კი რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ გავგზავნე ამანათი, რომელიც თხილისა, კაკლისა და ჩურჩხელისაგან შესდგებოდა.

ამ ბოლო დროს მიღებულ წერილში ძია გიორგი მწერს: შეიძლება შემოდგომაზე ცოტა ხნით გინახულოთ მე და ვიტიამო. უკეთესი რაღა იქნება, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მანამ რა გამაძლებინებს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

გ ო ნ გ ო რ ა

გულჩიორა ბიჭუნავ,
თვალჟუჟუნა გოგონავ,
ხომ გსმენიათ ოდესმე
სადმე სიტყვა:—გონგორა?

მე მის გაგონებაზე
მაგონდება სოფელი—
ჩემს ტკბილ სიყმაწვილესთან
მარად განუყოფელი.

რთვლობის შემდეგ ვენახში
თავს ვიყრიდით ტოლები,
რომ გვეპოვნა გონგორა—
ყელის ჩამატკბობელი...

ყურძნის უხვი მოსავლით
ვამაყობდით ყველანი,
მაგრამ მაინც სხვა იყო
საპოვნელი მტევანი!

ვაზის ყვითელ ფოთლებში
ვინც პირველი ნახავდა,
ბედნიერზე ბედნიერს
ვთვლიდით ჩვენ იმ ამხანაგს...

ახლა მტევნის მაგიერ
სიბრძნის წყაროს დავეძებთ
და წიგნების კითხვაში
ღამეს ვტეხავთ ღამეზე...

გულჩიორა ბიჭუნავ,
თვალჟუჟუნა გოგონავ,
დაე, ჭიაკოკონად
გექცეთ სიტყვა—გონგორა!..

მუდამ კარგის ძიება
იყოს თქვენი თვისება,
რომ ძირს არ დაგეხაროთ
ჩვენი ქვეყნის ღირსება!

ჩ ვ ე ნ ი ს კ ო ლ ი ს დ ა რ ა ჯ ი

არც თუ ისე მოხუცია,
მხრებში ოდნავ მოხრილია,
მაშინაც კი დაფუსფუსებს,
როცა უკვე მოცლილია.

კედლის საათს უთვალთვალებს,
არ ჭირდება შეხსენება,
ზარს ჩამოკრავს თავის დროზე
და გვაუწყებს შესვენებას.

დადის დინჯად, დაკვირვებით,
იგი ნათელ დერეფანში,
ჰკრეფს ეზოში ქვებს და კენჭებს,
ხეხილს ამყნის სკოლის ბაღში.

ცივ ზამთარში ცეცხლს აჩაღებს,
დილით ადრე შეშას აპობს;
ხშირად ჩვენთან მუსაიფობს.
ძველ-ძველ ამბებს ლაპარაკობს;

თან გვარიგებს: „არ ჩამორჩეთ
არ ჰქნათ საქმე სათაკილო,
კარგი სწავლით გამახარეთ,
მოხუცს გული არ მატკინოთ.“

საღამო ხანს სკოლის კარებს
გამოკეტავს საიმედოდ,
შეგვიყვარდა, შევეჩვიეთ
ჩვენ გულკეთილ ძია თედოს.

გიორგი ლექავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსჯემი*

ნახ. კ. მახარაძისა

ბაზარში მივდიოდი. გზაში შვიდი-რვა წლის ჩამოძონძილი, ფეხშიშველი ბიჭუნა შემხვდა. ზურგზე ვეებერთელა გოდორი ეკიდა. ხვეწნა დამიწყო, დამიქირავეო. საყიდელი ბევრი არაფერი მქონდა, ამიტომ უარი ვუთხარი. მართალი თუ გნებავთ, უბრალოდ მრცხვენოდა კიდეც ჩემი ტვირთი ბავშვს ეზიდა. მაგრამ ის კვლავ იხვეწებოდა:

— ბევრს არ გამოგართმევთ, სულ ხუთი ყურუში მეყოფა. დღეს არავინ დამიქირავა, პატარა ხარო, — მეუბნებიან.

შემეცოდა, ამოვიღე ჯიბიდან ხუთი ყურუში და გავუწოდე:

— გამომართვი!

ბავშვმა ცხვირში წაიქსუტუნა და გაკვირვებით შემომხედა.

— როცა ნივთებს წავიღებ, შემდეგ გადაიხდით!

— აიღე, ისე გაძლევ!

ბავშვმა თვალებში შემომხედა და ყვინჩილასავით აიქოჩრა.

— მე მათხოვარი არა ვარ! — მოულოდნელად მიპასუხა მან. — რად მინდა თქვენი ფული, მე ხომ თქვენი ნივთები არ წამიღია?

არ ვიცოდი რა მექნა, ისე შემარცხვინა ამ ბიჭმა.

— მე შორს ვცხოვრობ, თანაც ცოტა მაქვს საყიდელი, თვითონ წავიღებ, — ძლივს მოვახერხე ამის თქმა.

— შორს იყოს, არაუშავს, წავიღებ, რასაც იყიდით.

უარის თქმა უკვე შეუძლებელი იყო.

— კარგი, — ვუთხარი მე! — წავიდეთ!

მე მასთან ლაპარაკი მინდოდა. ბაზარში დიდხანს არ დაგვიყოვნებია, ჩავაწყვეთ სურსათი გოდორში და გავეშურეთ სახლისაკენ. ჩემმა ნაყიდმა გოდორი სანახევროდაც არ აავსო. ბავშვი ხელმარჯვნივ მომდევდა. თავი პირდაპირ ეჭირა — ტვირთი არ იყო მძიმე — გზადაგზა ათვალიერებდა დიდ მდიდრულ სახლებს, მაღალ ხეებს და შორეულ დათოვლილ მთებს.

— რა გქვია? — შევეკითხე მე.

— რუსტემს მეძახიან. ყიზილ ჯახამამის ქვემოთ რომ სოფელია, იქიდან ვარ. ცხრა წელი შემისრულდა. დედა შარშან მომიკვდა. სოფელში ბიძა მყავს, მაგრამ არ მეხმარება. ახლა აი, ანკარაში ჩამოვედი, — მომაყარა მან სულმოუთქმელად.

— მოიცა, მოიცა, — შევაწყვეტინე, — მე ხომ შენთვის ეს არ მიკითხავს.

— ვიცი, — მიპასუხა, — რიგრიგობით შემეკითხებით, ამიტომ მირჩევნია ერთბაშად გითხრათ ყველაფერი.

მასთან საუბარი ძნელი იყო, ყოველ მის სიტყვაში მოზრდილის გამოცდილება იგრძნობოდა. რომ შემატყო გავჩუმდი, განაგრძო:

— ყველა მეკითხება, ყველას უნდა ვუპასუხო და ხეირს ვერავისაგან ვხედავ. არაუშავს რა, აქ მე დიდხანს აღარ ვიწვალებ, სულ ხუთი-ექვსი წელიწადი დამრჩენია.

— შემდეგ რას აპირებ?

დაკვირვებით შემომხედა და მკითხა:

* ამ მოთხრობის ავტორი თანამედროვე თურქი მწერალია, მისი ვინაობა არ გამოქვეყნებულა, რადგან თანამედროვე თურქეთში მას საფრთხე ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ პოლიციიდან ხომ არა ხარ?

— არა. მითხარი რას იზამ ხუთი წლის შემდეგ?

— ციხეს დავწვავ.

— რატომ?

— მამაჩემი იქ ზის და გავათავისუფლებ.

ძლივს შევიკავე სიცილი. რამდენიმე წუთს ჩუმად მივდიოდი. შემდეგ ვკითხე, რისთვის ჩასვეს მამამისი საპყრობილეში.

— ჟანდარმებს წაეჩხუბა. ერთი მათგანი შუა სოფელში გააგორა. მამაჩემი ხომ კარგი მსროლელია, ჟანდარმს პირდაპირ შუბლში მოარტყა. თვრამეტი წელი მიუსაჯეს, ჯერ ორიც არ გასულა, რაც ციხეში ზის.

— რისთვის წაეჩხუბა ჟანდარმებს?

— გადასახადისათვის. მამას ფული არ ჰქონდა, ისინი ჩვენთან სახლში მოვიდნენ, უნდოდათ საბნის, ქვაბის და ქეჩის წაღება. მამამ თოფს სტაცა ხელი, ისინი გაიქცნენ. ესროლა ერთი — აი, თქვენ საბანიო, მიაძახა; ესროლა მეორე — აი თქვენ ქვაბიო; ესროლა მესამე — აი თქვენ ქეჩაო! ერთმა ჟანდარმმა ამოიკვნესა: «ვაი მოვკვდიო» და შუა ქუჩაში გაიშხლართა.

სახლს მივუახლოვდით. რუსტემისათვის ჯერ ფული არ მიმეცა, ვუცდიდი კიდევ რას იტყოდა. მან შეამჩნია ჩემი დაკვირვებული მზერა და მითხრა:

— რატომ მიყურებ, ძია, ასე? ღარიბი ვარ, სახე ჭუჭყიანი მაქვს.

შევუხვიეთ ქუჩის კუთხეში. უცბად მომინდა, მკერდში ჩამეკრა ეს ბავშვი თავის გოდრიანად. ვერ გავბედე, მხოლოდ ნიკაპზე წავავლე ხელი, თვალებში ჩავხედე და ვუთხარი:

— რუსტემ! შვილიკო, შენ სრულიად არა გაქვს ჭუჭყიანი სახე. ანკარაში და მთელ თურქეთში ათასობით არიან შენისთანები. ყოველ თქვენგანს ღია შუბლი და ნათელი, პატიოსანი სახე გაქვთ. მოდი გაკოცო.

რუსტემმა ოდნავ გაიღიმა:

— მომეშვი, ეფენდი! მე მალარია მაქვს და შეიძლება გადაგედოს.

— მალარია არაა გადამდები.

— არა, გადამდებია, მე დედამ გადამდო. მეტისმეტად ავი ციება მაქვს. ძაგძაგს დამაწყებინებს და კბილებს ვაკაწკაწებ, როგორც წერო ნისკარტს.

რუსტემმა გაიღიმა, თითქოს ამაში არაფერი სამწუხარო არ ყოფილიყოს.

— რუსტემ, მამასთან დადიხარ? — შევეკითხე.

— ყოველ კვირას, სიგარეტები მიმაქვს მისთვის. რამდენ ყურუშსაც დავაგროვებ, იმდენს ვყიდულობ. წარსულ კვირას ჩემი საქმეები კარგად მიდიოდა და ორი შეკვრა ვიყიდე.

როდესაც სახლში შევედით, ჩემი ცოლი მაგიდას აწყობდა. რუსტემს გოდორი მოვხსენით, ამოვიღეთ ნაყიდი. მე მას ათყურუშიანი გავუწოდე.

— ახლოს იყო წამოსაღები და თანაც მსუბუქი, — თქვა მან და მომაწოდა ხუთი ყურუში ხურდა. მე ფული გამოვართვი, ვშიშობდი, ისევ არ ეთქვა: «მე მათხოვარი არა ვარო». მან იმწამსვე წასვლა დააპირა. მხარზე ხელი მოვხვიე და ვთხოვე:

— მოდი, რუსტემ, ერთად ვისადილოთ.

— არ შეიძლება, — მიპასუხა, — დღეს ბაზროობაა, ერთი — ორი გზა კიდევ უნდა გავაკეთო. მე ასეთ თეთრ სუფრას არ ვარ მიჩვეული, გარდა ამისა ჩანგლით ჭამა არ ვიცი, — გადაჭრით თქვა რუსტემმა.

— შენ კარგი ბიჭი ხარ, რუსტემ, — ვუთხარი მას გამომშვიდობებისას, — მაგრამ არ მომწონს შენი გეგმა.

— რა გეგმა?

— შენ ხომ ციხის დაწვას აპირებ?

რუსტემმა კვლავ გაიცინა:

— ეხ, ძია, შენც დაიჯერე? მე ეს მხოლოდ მამის გასამხნევებლად მოვიგონე. როცა მას ვუთხარი, ის საპყრობილეს გისოსებს იქეთ ტიროდა და იცინოდა...

თვალები ამიცრემლდა. კარადიდან ორი შეკვრა სიგარეტი გამოვიღე და გავუწოდე.

— ეს შენ კი არა, მამაშენს. მასთან რომ მიხვალ, ჩემი სალამი გადაეცი.

რუსტემმა გამომართვა სიგარეტი, ჩაიდო ის ტიტველ უბეში და გულუბრყვილოდ მკითხა:

— ძია, შენ ვინა ხარ?

— რად გინდა ჩემი ვინაობა?

— მე ხომ უნდა გადავცე მამას შენი სალამი.

— უთხარი, ერთ ძიასაგან-თქო: სულით ნუ დაეცემა. ყველა ეს ციხე ერთ მშვენიერ დღეს თვითონ დაინგრევა.

თავის წლებზე გაცილებით უფრო გონიერ რუსტემს, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა ციხის თავისით დანგრევა. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ის არ დაივიწყებდა ჩემს სიტყვებს და გადასცემდა მამამისს.

ქუჩაში გამოსვლისას მან თქვა:

— ძია, შენ კარგი კაცი ხარ.

რუსტემს უნდოდა ხელზე ეკოცნა ჩემთვის, მაგრამ მე თვით ვაკოცე შუბლზე.

სიტყვა ჩამოვართვი ჩვენსას გამოევლო, თუ ძალიან მშიერი იქნებოდა.

თარგმნა ა. ებრალიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

ნახ. შ. ცხადაძისა

ამბერკის ბიჭი

წინა დღეს ამინდი აირია. კედელას ფერდობებს, აბარს რომ სამხრეთის მხრიდან გადმოჰყურებს, შავი ღრუბელი ჩამოაწვა. ნიავი არ იძვროდა, მაგრამ გაუქმებულ ჭასთან რომ კოპიტია, ეზოში, ისე უცახცახებდა პაწაწა ფოთლები, პირდაპირ გაგიკვირდებოდა. ქათმები ბელლის ქვეშ შეყუჟულიყვნენ. ყურებპანტურა ბოლიანასაც მოსწყენოდა; დილიდან მოკიდებული მხოლოდ ერთხელ შეჰყეფა და ისიც, ალბათ, მოწყენილობის გამო.

ბაბუა ამბობდა, ნათესებისათვის მისწრება იქნება ერთს რომ წამოუშხაპუნებდესო, მაგრამ წვიმა მაინც აშინებდა: მეორე დილას მთელი ბრიგადის მთიბავები ჭუთხაროს კალთებზე უნდა წასულიყვნენ.

მაგრამ ახლა ყველაფერმა გაიარა. არც წვიმა მოვიდა და არც არაფერი. ნავახშმევს ისეთმა ქარმა დაჰქროლა ხეობაში, რომ ღრუბელს წამლადაც ვერსად იპოვნიდი. ბაბუა მალი-მალ გამოდიოდა აივანზე, ყურს უგდებდა ღამის სიჩუმეს, წყალი ხომ არ მოდიდებულაო. სხვა დროს მკვდარსავით ეძინა ხოლმე დარეჯანს. ახლა ყოველ გაფაჩუნებაზე ელვიძებოდა, მითუმეტეს ბაბუას წამოდგომისას. ბაბუა იმნაირი მოუხერხებელი გახდა ამ ბოლო დროს, რომ ოთახში ისე ვერ გაივლის, თუ არაფერს წამოედო.

დედას სულ არ დაუძინია. ორი თონე პური გამოაცხო. ვახშმად იმდენი ილაპარაკეს, წვიმამ იქნებ მთელს კვირასაც გასტანოსო, რომ დარეჯანს გუნება შეეცვალა. შარშან რამდენი ეხვეწა უფროს ძმას, ოტიას, რამდენი ემუდარა, ისიც გაეყოლებინათ ჭუთხაროს სათიბებში. ჯერ ყველა უარზე იყო, მაგრამ მერე მამამ ერთბაშად ბრძანა „წამოვიდესო“ და ამით ყველაფერი გათავდა. მამა ვერ იტანს, როცა მის სიტყვას ზოზინით ასრულებენ. თუ სადმე გაგგზავნა, უსათუოდ სირბილით უნდა წახვიდე. თუ არ გაიქეცი, დაგინახავს და... ბაბუას მოსწონს ეს. ამბობს, ახალგაზრდობაში მეც ამისთანა ვიყავიო. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ რას იზამ ახლა, ხომ არ შეედავები!

ამბობენ, რომ დარეჯანი მამას ჰგავს. შეიძლება. მამასავით გაუტეხელი და უშიშარიაო. ესეც შეიძლება. ტყუილად ხომ არ აცმევდნენ ბიჭის ხალათ-შარვალს. მთელი სოფელი „ამბერკის ბიჭს“ ეძახდა. ხელჩანთიანს, ვილაც გადმოსძახებდა ვენახიდან: „კლასი გამოვიდა, ამბერკის ბიჭო?“ სამწყემსურიდან მომავალს დალანდავდნენ თუ არა თვალს: „ქვა შენ დაგორეო, ამბერკის ბიჭო?“ ამბერკის ბიჭო და ამბერკის ბიჭო!

პირველად რომ კაბა ჩააცვეს და გოგოდ მოკაზმეს, სინანულისაგან გული აუჩუყდა, მაგრამ რა მამის შვილი იტირებდა! სცმოდა ის ტანსაცმელი, განა სულ ერთი არ იყო? იჰ! მაშინაც მამამ ბრძანა:

— რას დატანტალობს ეს ქალბიჭა შარვალამოკანჭულებული, კაბას ვერ შეუკერავთ?

დედასაც მაშინ გაახსენდა, რომ დარეჯანს არცერთი კაბა არ ჰქონდა. ყველას დავიწყებოდა, რომ ის გოგო იყო.

დაღამებისას, ღრუბლები არც კი იყო გადაყრილი, დედამ რომ სათონეში დაუძახა და უთხრა, მამა სათიბში გიპირებს წაყვანასო. დარეჯანისათვის იმდენად მოულოდნელი იყო ეს, რომ ერთხანს ხმა არ ამოუღია. სხვა დროს გაუხარდებოდა, მაგრამ ახლა ჩაფერფლილ თონეს გადაეყუდა და ენით მარჯვენა ლოყა გამობერა. დედა ცომს ზელდა, მაგრამ ეს მაინც დაინახა და წყნარად უთხრა:

— რას უშვრები ენას, ახლა გინდა ლოყა გაიხვრიტო?

დარეჯანს ეწყინა.

— მინდა! — ჯიუტად უპასუხა მან.

— ენა არც იმისთვის გაბია, რომ ზედმეტი ილაპარაკო. წაყვები მამას? მოცილდი თონეს! ხომ ხედავ, რომ სიმხურვალე ამოდის. მიდი, ის კრამიტები მომიტანე, კერიასთან რომ აწყვია. ნაკვერცხლებს უნდა დავაფარო. ეგ არა, ახალი კრამიტები! ეგ! გეზარება?

— რა?

— წაყოლა.

— არ წამიყვანს.

— მამამ თვითონ მითხრა, წამოვიდესო. ზემოთ შეაწყვეფრთხილად, ფეხზე არ დაგეცეს. მოდი, ჯერ ეს სახელო გადმომიკეცე. ჩამომეშალა. სათიბის პირას ხარებს მოუდგებაო. ვირიც უნდა წაიყვანოთ. თუ მოეწყინა, ზეგ მეხრეებს გამოვატანო.

სათონეში მამა შემოვიდა. თაროდან ცელის გამოსაკვერავი გრდემლი ჩამოიღო, მაგრამ დარეჯანისათვის არაფერი უთქვამს. არც ვახშამზე გამოლაპარაკებია. დარეჯანი უხალისოდ შეექცეოდა ულუფას. გრძნობდა, რომ ამ საღამოთი დედა დაღონებული იყო და ეს აწუხებდა. მამა გულმოსულად ხვრეპდა წვენს და თონის პურის ყუას ისე ხარბად ხლეჩდა, თითქოს მთელი კვირის უჭმელი ყოფილიყოს. ოტია თავჩაღუნული იჯდა და მსუნაგად ლოკავდა რძისთავში ამოვლებულ პურის ნაჭერს. იფიქრებდი, რომ თავისი თეფშის მეტს ვერაფერს ხედავდა.

* * *

მთელი გზა ისე გამოიარა დარეჯანმა, ხმა არ ამოუღია. დედის ჯავრი გამოჰყვა. ნეტავი რად გამოიყურებოდა ისე ნაღვლიანად? ცოდვა გატეხილი ჯობია, ამჯერად დარეჯანს არ უნდოდა მთაში წამოსვლა. სწორედ იმიტომ არ უნდოდა, რომ უბრძანეს წამოდიო. თვითონ რომ ეთხოვა, ისე, როგორც შარშან, სხვა იყო. აიღეს და უკითხავად ჩაბეს საქმეში. მამა არც კი კადრულობს მასთან ლაპარაკს, ადგა და დედა მიუგზავნა. რა იქნებოდა, თვითონ ეთქვა, სწორეთ ისე, ოტიას რომ ეუბნება ხოლმე. რა მადიანად ივახშმებდა მაშინ დარეჯანი, ადრეც დაწვებოდა და წამოსვლამდე გემრიელად გამოიძინებდა.

ამ და ამის მსგავს ფიქრებში გართული დარეჯანი ქარისაგან მოტეხილ ბებერ წიფელზე იჯდა და ფეხები წვრილ ტოტზე გაელაგებინა. იქვე, პატარა ველობზე მადიანად შეექცეოდნენ მთის მსუყე ბალახს სამი უღელი ხარი, პაწია რქებიანი შავი მოზვერი და ჩასუქებული ვირი.

სადღაც ზემოთ, წიფლარის გადაღმა, მთის კლდოვანი თხემი მოჩანდა. დარეჯანმა კარგად იცოდა, რომ ფრიალო კლდის ქვეშ აბარელი მთიბავები მუშაობდნენ. მათ შორის იყვნენ მამა და ოტიაც. მაღალი წიფლის ქვეშ, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს ბალახით ამწვანებულ ტაფობს, ფიცრული სადგომია მოწყობილი. შორიდან სასიმინდეს ჰგავს, რადგან მაღალ ბოძებზე შეუყენებიათ. ბროლია სადგომის ბოძზე გამობა მამამ. ალბათ, ასეა საჭირო. დარეჯანს უნდოდა საქონელთან ერთად ისიც წამოეყვანა, მაგრამ მამისა მოეხათრა. საბრალო ბროლია! შინაც მოწყენილი იყო, აქ კი მარტოდ დარჩენილს კიდევ უფრო მოეწყინება. უნდა დაინახოს მაინც ადამიანმა, რა დღეშია, ძინავს თუ ზეზეა.

* * *

დამპალი ფოთლებით დაფარული ბილიკი წიფლარში გადიოდა. საამო იყო ამ ბილიკზე სიარული. რბილი მიწა ბუმბულივით ჩაიზნიქებოდა ხოლმე ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე. ფეხქვეშ ფოთლებიდან სინესტე ყონავდა. მოშორებით რაღაც წითლებს მოჰკრა თვალი დარეჯანმა და გადაუხვია. სოკოები! იქნებ წიფლიოებია! მოიცა, ჯერ გემო გაუსინჯოს, უჰ, რა მწარე ყოფილა! კატამჯღავანა! მან გულთეთრა სოკო გადააგდო და ახლა სხვანაირის ძებნას მოჰყვა.

რა ტკბილად ჭიკჭიკებენ ჩიტები! მთელი ტყე რაღაც უჩვეულო სტვენასა და გალობას მოუცავს. შეჩერდა და ყური მიუგდო. იქვე, თეთრ ქვასთან წაბლის ხე იდგა. ქვასაც და წაბლის ხესაც მზე ანათებდა. დარეჯანმა შენიშნა, რომ ამ შუქში მოქცეული წაბლის ერთი შტო ქანაობდა. ნაბიჯს რომ მოუჩქარა, შტო უფრო აქანავდა, მერე კი გაჩერება იწყო. ალბათ, დაფრთხა ტყის პატარა ბინადარი, ფოთლებში მიიმალა.



რა კარგად მოიქცა, მთაში რომ წამოვიდა. ასეთ საკვირველებებს აბა სოფელში როგორ ნახავს ადამიანი! ნედლი ფოთლისა და მიწის სუნით ისე იყო გაბრუებული, რომ ძლივსღა მოიგონა, სათიბის პირს რისთვის მოაშურა.

ჩუ! ეს რა ყვირილია? ვინ უძახის?

ბექობის გადაღმა ვილაც იძახდა, მაგრამ ხმა ტყის მხრიდან მოესმოდა დარეჯანს:

— და-და-ლაა...

ოტია იყო. ეძებდნენ. როგორ მიეწვდინა ხმა რომ აქ იყო?

ყვიროდა იგი და თან მაღალ ბალახს მიარღვევდა. ზემოთ კლდის ძირებზე საქონელი დაინახა. ამით მიხვდა, რომ გზა გამრუდებოდა და სულ სხვა ადგილას ამოსულიყო.

— სადა ხარ, გოგო, სად დადიხარ? — მოესმა ამ დროს შეშინებული ოტიას ძახილი, რომელსაც ცელი ზემოთ დაეტოვებინა და მისკენ მოდიოდა.

რა ლამაზია ოტია! არა, ლამაზი კი არა, რაღაც სხვანაირი. როგორ უხდება ეს გაღეღილი, ქათქათა პერანგი, საიდანაც კლდესავით მაგარი, გაოფლილი მკერდი მოუჩანს. თითქოს, წვერიც კი წამოზრდია წუხანდელს აქეთ. ვახშამზე ახლადგაპარსული ეჩვენებოდა.

— სად იყავი, საქონელი რა უყავი? — ჰკითხა მოახლოვებულმა ოტიამ.

— იქ არიან.

— შენ რად წამოხვედი, მოგშივდა?

— არა, — თქვა დარეჯანმა და დამალა, რომ საბრალო ბროლიას ნახვა უნდოდა, — მამა აქ არის?

— აბა სად იქნება.

— სად?

— აი, — კლდის ძირისაკენ გაიშვირა ხელი ოტიამ, — ბრიგადაში ხალხმა აღარ დამაყენა, ის ქალბიჭა არსად დაგეკარგოთო. შენ მართლა დაკარგული იყავი, დროზე რომ არ მომესწრო.

დარეჯანი გრძნობდა, რომ ოტიას უნდოდა გაჯავრებული სჩვენებოდა დას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. ალბათ, არ ახსოვდა, რომ გამოცხადებული ბაბუა იყო.

ამ ფიქრებიდან ისევ ძმის ხმამ გამოარკვია. ოტიას ჯოხიხათვის წამოევლო ხელი და გაჯიუტებულ სახედარს დასდევდა, რომელიც ნედლ ღვარეულებს მიჰპარვოდა და აღარც კი აპირებდა უკან გაბრუნებას. „უსირცხვილო! — გაიფიქრა დარეჯანმა, — სწორედ რომ საძაგელი ცხოველია ეს ვირი, სუნიც რა მყრალი აქვს“...

— დადალა! ერთი ვიცოდე, რას უდგეხარ მანდ! — დაიძახა ამ დროს ოტიამ, რომელსაც სახედარი დაეჭირა, ავშარაში ხელი ჩაევლო და ტყისაკენ ეწეოდა, — მოდი, დაარტყი რამე ამ სამგლეს, ხომ ხედავ არ მოდის.

დარეჯანსაც ეს უნდოდა. ხტუნვა-ხტუნვით გადაევლო გაინერ ღვარეულებს და დაღმართში დაეშვა. საბრალო პირუტყვმა თავის მოუბრუნებლად შეატყო, უკანიდან მიახლოვდებიანო და ოტიას დამორჩილდა, ფინიასავით აედევნა უკან.

— მე ნუღარ გამაცდენ ახლა, — თქვა ოტიამ, როცა დარეჯანი მიუახლოვდა, — ჩადენე ეს საქონელთან და თუ არ გაჩერდეს, გამოაბი რამეზე. გესმის? ამოდი მერე სადგომში. თაროზე მოხარშული ხორცი, ყველი და პურია. ჭამე. არა გეყურება? საით იცქირები?

— ხარები სად არიან, ოტია, აქედან ვერ ვხედავ.

— აქედან რას დაინახავ. ჩადი, გაყევი ამ სამგლეს. გაიგონე? — ზემოდან მოაძახა ძმამ, — საქონელი არსად დაგეკარგოს თორემ მამა გაგიწყრება. პატარა ხანს იყოლიე კიდევ და ამორეკი. მერე წყალს დავალევინებ.

უკანასკნელი სიტყვები დარეჯანს აღარ გაუგონია. ის უკვე წიფლარში იყო და სახედარს მისდევდა.

ველობზე გავიდნენ. დარეჯანს უნდოდა ვირი შეეჩერებინა, მაგრამ მისი სახელი არ იცოდა. სახედარს იშვიათად არქმევენ სახელს. ერთადერთი სიტყვა, რომელიც შეეძლო დაეძახნა, იყო „ჩიშ“, მაგრამ პირუტყვს ძახილი არა ესმოდა, ან განზრახ იყრუებდა თავს. „ჩიშ! ჩიშ!“ — გაყვიროდა დარეჯანი. მის ხმას ტყე იმეორებდა. ახლა უნდოდა ოტია მოეხმო, მაგრამ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს იყო, ვერ გააგონებდა. ისიც ველარ მოასწრო ველობზე მიეხედ-მოეხედა და საქონელი შეეთვალიერებინა, რომ სახედარმა ნაბიჯი აიკრიფა, ველობი ძუნძულით გადაირბინა და ისევ ტყეში შერგო თავი.

ტყის ეს ნაწილი შედარებით მეჩხერი იყო და ირგვლივ საოცარი წითელი სინათლე სუფევდა, სწორეთ ისეთი, მზის ჩასვლისას რომ იცის ხოლმე. აქა-იქ დამპალი კუნძები და ხორად დადგმული შეშა მოჩანდა. მან გაჭირვებით გაიხსენა, რომ აქ დილით გამოიარეს. სადღაც ახლოს პატარა ტბაა. არც არსაიდან შეუდის წყალი, არც გადის. გეოგრაფიიდან მოაგონდა, რომ ამგვარ ტბას გაუმდინარი ჰქვია. საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი გაუმდინარი ტბაა კასპიის ტბა, რომელიც სიდიდის გამო ზღვად იწოდება...

— ჩიშ! ჩიშ. — საცოდავად დაიძახა იმ იმედით, რომ გაჯიუტებული პირუტყვი მის მუდარას შეისმენდა. ო, ეს რა საკვირველი ქვაა! წამოწოლილ აქლემს არა ჰგავს? მერე სად უნახავს აქლემები?

— ჩიშ... — სიბრაზისაგან მოწოლილ ცრემლებს ძლივს იმაგრებდა დარეჯანი.

აქლემისმაგვარი ქვის იქით დაინახა გადმობრუნებული სველი ფოთლები და სიხარულით გაიფიქრა საბელის კვალიაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ფოთლები მარტო ერთ ადგილას იყო გადმობრუნებული.

— ჩიშ... ჩიშ... ჩიშ... — კიდევ გასძახა ტყეს და ტყეც გამოეხმაურა, ოღონდ ყრუდ, გაურკვევლად.

რა ალმაცერად ეშვებიან მზის სხივები. ყველაფერს წითლად ანათებენ, ხეებსაც, ქვებსაც და მიწასაც. ალბათ, თვითონ დარეჯანიც წითელია.

ჩუ! თითქოს ვიღაც იძახდა. არა, საჩუმეა. მაინც გაჩერდა და ყური მიუგდო. კვლავ სიწყნარე. მგალობელი ჩიტუნებიც კი გაჩუმებულან. იქნებ უკან დაბრუნება სჯობდეს? სად უნდა წავიდეს სახედარი! მაგრამ სულ ასე დღე ხომ არ იქნება, ხომ უნდა დაღამდეს. ღამით ნადირი გამოვა ბუნაგიდან...

საძაგელი ცხოველი! იმან კი არ იცის, რომ დარეჯანს ბოროტი გული არა აქვს. სწორედ იმისათვის მისდევს, რომ გადაარჩინოს...

ნაბიჯს აუჩქარა. კიდევ უფრო მეტი მონდომებით განაგრძო ძებნა. ამასობაში წიფლარი დამთავრდა და ის ციცაბო კლდის პირას აღმოჩნდა. ჩამავალი მზის სხივებზე ეს კლდეც წითელი იყო. მის წინ კვლავ უნაპირო ტყე იშლებოდა.

ეს რა ხმა არის? ნუთუ მართლა უძახიან. იქნებ ოტიამ იპოვა სახედარი? ადამიანის დაძახილს არ ჰგავდა. იქნებ ბროლიაა? იქნებ ოტია გამოუდგა და ბროლიაც თან გამოიყოლა! გული მიეცა, დიდრონ ქვებს ფრთხილად შემოუარა და სწორედ იმ მხარეს წავიდა, საიდანაც ყეფა ესმოდა. გზადაგზა ერთმანეთს ცვლიდა აყვავებული იელისა და შქერის ბუჩქები. შქერი კვახის ბარდივით გაწოლილიყო მიწაზე და დარეჯანს სიარულს უშლიდა. რა დღეში იქნება ახლა საწყალი დედიკო, რომ იცოდეს მისი ქალბიჭა გოგო როგორ იტანჯება!

ახლა მიხვდა, რომ ძალიან დიდხანს მოდიოდა. წეღანდელი ხმა კი ისევ და ისევ ისმის. არც უფრო ახლოსაა, არც უფრო შორს. ალბათ, ისინიც არ ჩერდებიან ერთ ადგილზე, ისინიც ეძებენ. კარგი იქნება, თუ ბროლია არ დაიღალა და ასე დიდხანს იყეფა. როცა ცოტა მიუახლოვდება, თვითონაც მორთავს ყვირილს, იქნებ გააგონოს.

როგორ გაგრძელდა ეს ჩრდილი! მართლა ამ სიმაღლე რომ იყოს დარეჯანი! რატომ იცვალა ტყემ ფერი? თითქოს მოიწყინა. ეს ცივი ქარიც ახლა ამოვარდა ჯიბრზე, ბევრი ხე ყოფილა დამპალი, ტოტებჩამოლეწილი. ეს კოპიტია?

„ვაიმე, მგონი ღამდება“, — გაუელვა დარეჯანს და გაჩერდა.

მართლაც დაბინდებულიყო. საღამოს მიმწუხრში თეთრად გამოიყურებოდნენ აშრიალებული წიფლები, უფრო შორეულნი კი სრულებით აღარ ჩანდნენ.

„რა უნდა ვუთხრა მამას, სახედარი რომ მგელმა შემიჭამოს?“ — გაიფიქრა დარეჯანმა და კინაღამ ხმამაღლა ატირდა.

ზემოთ, ხის ტოტებში შეყუჟებული ჩიტუნებიღა ფრთხიალებდნენ. დაღვრემილი ტყე ჩუმად, ძალზე ჩუმად ჩურჩულებდა რაღაცას. დარეჯანი გაუნძრევლად იდგა. შიშველ ფეხებზე შქერის დაცვარული ფოთლების სიგრილეს გრძნობდა. ვერ იქნა და განძრევა ველარ მოახერხა. როგორც კი ნაბიჯს გადადგამდა, შქერის ბუჩქები მაშინვე აშრიალდებოდნენ. მაგრამ რამდენ ხანს უნდა მდგარიყო აქ? ჰო, რატომ მიწყდა ის ხმა? არა, ისევ ისმის, მაგრამ წეღანდელზე უფრო სუსტად.

„შრრ... შხრრ“ — მოიღეს შქერის ბუჩქებმა და სიცივისაგან აკანკალებულ დარეჯანს უსიამოვნოდ გასცრა ტანში. ფრთხილად უნდა იაროს, რომ სიბნელეში არაფერს დაეჯახოს. რა უეცრად დაღამდა, თითქოს მზე და სინათლე არასოდეს არ ყოფილიყოს. კიდევ კარგი, რომ სიდო და რუსუდანი აქ არ არიან. იმათ ძალიან შეეშინდებოდათ. საბრალოა მშიშარა ადამიანი. ყოველი ბუჩქი ჩასაფრებულ მხეცად ეჩვენება. არა, ნამდვილად ჰგავს დარეჯანი მამას. შინაურები ტყუილად რიდი ამბობენ.

„ხეზე ავალ და დავიძინებ. გათენდება თუ არა, ისევ გავუდგები გზას“, — გაიფიქრა მან, მაგრამ ხეები ისეთი მსხვილია... ხელახლა გაიგონა ის ხმა, წეღან რომ ბუნდოვნად ესმოდა. არც ბროლია, არც არავინ! სადღაც სულ ახლოს მთის მდინარე მოედინებოდა. ეს მისი ხმა იყო. იქნება აბარულაა? ნაცნობმა სახელმა, რომელიც თვითონვე წამოცდა, გაამხნევა, გიუმაჯი მთის მდინარე კი ყრუდ მოშხუოდა ღამის სიბნელეში; თითქოს ისიც შემკრთალი იყო, ხმა უკანკალებდა.

„შრრ... შხრრ...“ — ისევ შრიალებდნენ შქერის ბუჩქები და ეს ხმა ტკბილად ჩაძინებულ ფრინველებს აფრთხობდა ტყეში.

ათიოდე ნაბიჯზე ჩანჩქერი გამოჩნდა. იგი თეთრად იკვეთებოდა სიბნელეში. ახლა დარეჯანი წყალს დალევს და ცოტა ხნით მდინარის პირას დაისვენებს...

— ღმ... — რაღაც გაურკვეველი წამოსცდა მას და მუხლთ მოეკვეთა. ერთის წამით ყველაფერი წითლად განათდა, მაგ-

„ვაიმე, მგონი ღამდება“,—გაუელვა დარეჯანს
და გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. ეს სადღაც შიგნით განათდა, თუმცა...

დარეჯანს გაუელვა, რომ ენა ჩაუვარდა, მაგრამ ამ აზრმაც მალე მიატოვა. ის კი, რასაც წამოედო, ცოცხალი იყო, ნელა დგებოდა ფეხზე... დარეჯანმა თვალები დახუჭა, უკან დაიწია და შქერებში ჩავდა. მერე კარგა ხანს იყო ასე, ნახევრად გონდაკარგული. გრძნობდა რომ ისევ შრიალებდნენ შქერის ბუჩქები, მაგრამ ვერ გაეგო, რას მოასწავებდა ეს. შქერის ბუჩქები კი შრიალებდნენ და შრიალებდნენ. მან თავს ძალა დაატანა, მკერდით მუხლებს დაეყრდნო და თვალები ნელ-ნელა გაახილა.

ორიოდე ნაბიჯზე რაღაც შავი მიდიოდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე შქერის ტოტებს ამტვრევდა.

— ჩიშ! — იმგვარი სიყვარულით შესძახა დარეჯანმა, თითქოს ყველაზე სანუკვარი სიტყვით მიემართოს ყველაზე სანუკვარ ადამიანისთვის.

სახედარმა ულაზათო თავი მოაბრუნა და, როგორც დარეჯანს მოეჩვენა, მადლიერი თვალებით დააცქერდა თავის პატრონს.

სახედარი გაოფლილი იყო. ლაპარაკი რომ ცოდნოდა, ალბათ, იტყოდა, რომ წყლის დასალევად წამოვიდა, რომ სხვა ბოროტი განზრახვა არც მას ჰქონდა, მაგრამ დააღამდა და გადაწყვიტა ღამე აქვე გაეთია.

— ჩოკ! — ყურში ჩასძახა დარეჯანმა, — წავიდეთ, აქ დარჩენა როგორ გაბედე, მგლების არ შეგეშინდა? ჩემო საცოდავო, ჩოკ, ჩემო საბრალო ჩოკ...

ამ კითხვაზე თვალებში აკოცა დარეჯანმა სახედარს, რომელიც თავის განთავისუფლებას ლამობდა.

— კარგი, ჩოკინა, კარგი, — ამშვიდებდა დარეჯანი, — წავიდეთ ახლა. სად არის შენი თოკი? ხომ არსად დაგიკარგავს? მომეცი აქ. ასე! წავიდეთ ახლა.

კარგა ხანს იარეს. ჩოკინა ისე გულდაგულ მიდიოდა, თითქოს გუშინაც აქ ყოფილიყოს. დარეჯანი ამან დააიმედა. გონიერი პირუტყვის ალღოს მიენდო.

ცა მოღრუბლული იყო. არც ერთი ვარსკვლავი არ ჩანდა. ჩაბნელებულ თხმელნარში რომ გადიოდნენ, დარეჯანი ძეძვებს წამოედო და ჩამორჩა. გაიელვა. კიდევ და კიდევ გაიელვა. ათიოდე ნაბიჯზე ისმოდა ძეძვების ფხაწაფხუწი. დარეჯანმა იცოდა, რომ ეს ჩოკინა იყო, მაგრამ დაღლილ-დაქანცულს ღონე აღარ ჰყოფნიდა დაეძახნა. კაბა ამოიკეცა, კალთები ორ ყურად დაგრიხა, წელზე შემოიჭირა და მუცელთან შეისკვნა, რომ სიარულში ისევ ხელი არ შეეშალა. ცოტაც რომ გაიარა, მიხვდა, რომ გატკეპნილ მიწაზე მიდიოდა. იქვე ჩოკინას გრძელ საბელს დაადგა ფეხი და კინალამ დაეცა.

დარეჯანი დარწმუნებული იყო, რომ სწორ გზას ადგნენ, თუმცა აქაურობა ეუცხოვებოდა. ოტია... საყვარელი ძმიკო... ვინ იცის, როგორ სწუხს ახლა დარეჯანის დაკარგვას... ვინ იცის, რა საშინელი ფიქრები მოუდის თავში... უჰ, რანაირად ელავს. ნუთუ წვიმა მოვა ამაღამ?

რა მოხდა? ჩოკინა გაჩერდა. ხომ არაფერს [illegible]

— ჩოკი! ჩოკინა! — ჩურჩულით მიაძახა მან, — წადი, რას გაუჩერდი?

ჩოკინა მაინც ჯიუტად იდგა. ყოველთვის ჩაქინდრული თავი ახლა ოდნავ აეწია და წინ იყურებოდა. დარეჯანი ფეხაკრეფით მიუახლოვდა, გავაზე უბიძგა და გაამხნევა:

— ჰე, ჩოკინა! ნუ გეშინია, მე აქა ვარ.

სახედარმა ფეხი არ მოიცვალა. ნეტავი რას უყურებს ასე დაშტერებით? მოიცა, მგონი რაღაცა ჩანს. დარეჯანმა მთელი გამბედაობა მოიკრიბა და წინ გასწია.

— ქვა ყოფილა, ჩოკინა, უბრალო ქვა. არა გრცხვენია, ამან შეგაშინა?

მაგრამ ჩოკინას ამის გაგონებაც არ უნდოდა. ფეხი არ მოიცვალა.

— უკან წავიდეთ, ჩოკინა, სხვა გზით მოვუაროთ, — შეევედრა დარეჯანი.

სახედარი უხალისოდ გაჰყვა. ცოტა იარა, მერე ისევ გაჩერდა. სხვა გზა არ იყო: ღამე აქ უნდა გაეთიათ. ვინ იცის, იქნებ სულ ახლოს არიან სადგომთან! მერე ბროლიას ყეფა რატომ არ ისმის? იქნებ მის საძებნელად წამოვიდნენ და ბროლიაც თან წამოიყვანეს.

ჩოკინა შეინძრა, თითქოს წუმპეზე გადახტომას აპირებსო, მერე წინა ფეხები ოდნავ მოკეცა და გვერდზე გადაიწია. დარეჯანის მუდარა და ცრემლები ახლაც ამაო იყო. ჩოკინა მამაპაპურად წამოწვა წიფლის სველ ფოთლებზე. სასოწარკვეთილ დარეჯანს სხვა აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ მასაც თავისი მეგობრის მაგალითისათვის მიებაძა. ერთი მწარედ ამოიოხრა, მუცელთან შესკვნილი კაბის კალთები გაიხსნა და შიშველი მუხლებით სახედარის თბილ ფერდებს მიეყრდნო. ცოტა ხანს კიდევ ესმოდა ჩოკინას ნებიერი ფშვინვა, ფოთლების შრიალი და ჩანჩქერის შორეული ხმა, მერე კი ყველაფერი ერთმანეთში აერია. ვითომ ისევ სათონეში იყო. დედა პურს ზელდა. აი, სადაცაა მივა, მოეხვევა და ეტყვის, რომ... მაგრამ ეს დედა არ არის! ეს უზარმაზარი, თვალებჩასისხლიანებული დათვია, რომელსაც დედის ტანსაცმელი ჩაუცვამს. ძილში შეჰკივლა. თვალები გაახილა. ჩოკინას ძინავს, თვითონ კი მის თბილ მუცელთან მიყუჟულა. მერე დაინახა დიდი ცეცხლი. ცეცხლი ტკაცუნებს და მთელ სოფელს ანათებს. რა არის ეს, საბძელია, თუ? ნუთუ მათი სახლი იწვის? ბაბუა! ბაბუა! სოსო გადაარჩინეთ! გადაარჩინეთ სოსო! გადაარჩინეთ სოსო, თორემ დარეჯანი ამ წუთში მოკვდება, ამ წუთში მოკვდება, დარეჯანი. ოოჰ!.. არა, ეს ამბერკის ბიჭი არ არის, ეს დარეჯანია. არა, არც ქვები დაუგორებია, დიდი ხანია თავი გაანება ამ სისაძაგლეს...

ყვრიმალზე დაცემულმა წვიმის წვეთმა გამოაფხიზლა. ზემოთ აიხედა, მაგრამ ვეება ქოლგასავით გაშლილი წიფლის მეტი არაფერი მოჩანდა. ჩოკინას მგონი ისევ ეძინა. თვალები დახუჭული ჰქონდა. თუმცა სიცივე ძვალ-რბილში გასჯდომოდა, დარეჯანმა მეტს ვეღარ გაუძლო, ჩოკინას მუცელს მოსხლეტით მიენდო და ღრმად ჩაეძინა.

ტყეში ქარმა იმატა, წვიმამაც წამოუშხაპუნა, მაგრამ მას არაფერი გაუგია. მხოლოდ ნაშუადამევს გამოაღვიძა საშინელმა ღრიალმა და დაფეთებული ზეზე წამოიჭრა. ნამძინარევი გაქცევას აპირებდა, რომ დაინახა: ჩოკინას კისერი გაეწვდინა, პირი დაეღო და თავზარდამცემი ხმით ყროყინებდა. აქაურობა ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყო, რომ ჩაბნელებული ტყე ხელახლა ახმაურდა. ძაღლის ყეფა იყო. ბროლიას ხმას ჰგავდა. ამას ყვირილი მოჰყვა. ნაცნობი ხმის გაგონებაზე დარეჯანს ძალღონემ უღალატა, ჩაიკეცა და გულამომჯდარს ტირილი აუვარდა.

ის ტიროდა იმას, რომ ასე საძაგელი იყო, ტიროდა, რომ სიკვდილს ძლივს გადაურჩა, ტიროდა, რომ მამას გული ატკინა და ასე ძალიან, ძალიან უყვარდა ყველა.



ნორჩი ტალანტები

აპრილში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ბავშვთა თვითშემოქმედების საქალაქო დათვალიერება. დარბაზი გაჭედილი იყო მოსწავლეებით, მშობლებით, აღმზრდელი მასწავლებლებით, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებით.

ცეკვა და სიმღერა, დეკლამაცია და ინსცენირება, მხატვრული ტანვარჯიში და საკუთარი ლექსები ერთმანეთს სცვლიდნენ. სკოლა — სკოლას, რაიონი — რაიონს ეჯიბრებოდა. თბილისელ მოსწავლეებთან ერთად ტრადიციულ დათვალიერებაში მონაწილეობას იღებდნენ გარეუბნის სოფლების: წყნეთის, კოჯრის, ავჭალის, თელეთის, ნორიოს, გლდანის მოსწავლეები.

დათვალიერებამ ცხადყო, რომ თბილისისა და გარეუბნის სკოლებში მაღალ დონეზე დგას ბავშვთა მხატვრული აღზრდის საქმე. ჩვენს ბავშვებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი, გაფურჩქნონ თავიანთი ნიჭი, წარმატებით ისწავლონ და ამასთან ერთად დაეუფლონ ხელოვნების ცალკეულ დარგებს. დათვალიერებამ ცხადყო, რომ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობაში მრავლად არიან შესანიშნავი ტალანტები.

ვბეჭდავთ რამდენიმე სურათს ბავშვთა თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერების შემაჯამებელ საღამოდან.

1. 34-ე საშუალო სკოლის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი ასრულებენ სიმღერას: „ისმინე, მშობლიურო პარტიავ“. მუსიკა ნოვიკოვისა.

2. ჩინური ცეკვა. ასრულებს 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლე რ. გეგეჭკორი.

3. ამიერ-კავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ასრულებს „ფერხულს“.

4. ცეკვა „ქართული“ — ასრულებენ 55-ე საშ. სკოლის მოსწავლეები თამარ დოლიძე და თამაზ გოგნაძე.

5. ორჯონიკიძის სახ. რაიონის მოსწავლეთა გაერთიანებული გუნდი და ორკესტრი ლიანა მოისწრაფიშვილის დირიჟორობით ასრულებს სიმღერას „აკვანი“. სიტყვები ი. ნონეშვილისა, მუსიკა რ. გაბიჩვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



6. ცეკვა „ცერული“ გარმონით — ასრულებს მე-4 საშ. სკოლის მოსწავლე იოსებ ხრიკული.

7. ცეკვა „სიმდი“, — ასრულებს პირველი სკოლის მოცეკვავეთა ჯგუფი მოსწავლე ჰ. კობეშავიძის ხელმძღვანელობით.

8. ა/კ. რკინიგზის მხატვრ. აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლთან არსებული მხატვრული ტანვარჯიშის წრის წევრები ასრულებენ ტანვარჯიშს რკალით.

9. ცეკვა „ხორუმი“ — კოჯრის საშუალო სკოლისა და №№ 1, 6, 7 და 9-ე საბავშვო სახლების მხატვრული კოლექტივების ლიტერატურულ-ქორეოგრაფიულ მონტაჟიდან „მეგობრობა“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

6904

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ნახ. კ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ჩ ი ნ ე თ ი ს პ რ ი ნ ც ე ს ა

მიმდინარე წლის 9 მაისს სრულდება 150 წელი დიდი გერმანელი მწერლის ფრიდრიხ შილერის გარდაცვალებიდან. შილერის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ლექსები და ბალადები, სახელგანთქმული დრამები, მოთხრობები, ისტორიული ხასიათის შრომები, ფილოსოფიური, ესთეთიკური წერილები, აგრეთვე ტრაგი-კომიკური ზღაპარი „ტურანდოტი, ანუ ჩინეთის პრინცესა", რომლის შინაარსი ავტორს ნასესხები აქვს იტალიელ დრამატურგ გოცისაგან. აი ამ ზღაპრის მოკლე შინაარსი:

თბილისის მეფისაგან დევნილი ასტრახანის პრინცი კალაფი მოხვდება ჩინეთის დედაქალაქში, პეკინში; კალაფი გაიგებს, რომ ჩინეთის იმპერატორს ჰყავს სილამაზით განთქმული ასული, სახელად ტურანდოტი, რომელსაც არ სურს ქმრის შერთვა და, საქმროების თავიდან მოსაცილებლად, თავის მამას ალტოუმს ასეთი კანონი გამოაცემინა: ხელის მთხოვნელ უფლისწულებს ტურანდოტი სამ გამოცანას მისცემდა, გამოცნობის შემთხვევაში უფლისწული უფლებამოსილი იყო შეერთო იგი ცოლად, მაგრამ, თუ ვერ გამოიცნობდა გამოცანებს, თავი უნდა მოეკვეთათ დამარცხებულისათვის.

ცხოვრებისაგან გაწამებული კალაფი გადაწყვეტს სცადოს ბედი. ბედი მას გაუღიმებს, მაგრამ წინ ვერ აღუდგება სურვილს ტურანდოტისას, რომელიც მოითხოვს ჯვრისწერა მეორე დღემდე გადაიდოს. ახლა კალაფი მისცემს გამოცანას: «ვისი შვილია და რა ჰქვია იმ ბატონიშვილს, ლუკმა პურისთვის, ვით მეკურტნე, ტვირთს რომ ზიდავდა და ბოლოს, როცა მიაღწია სასურველ მიზანს, კვლავ უბედურად დატრიალდა იმისი საქმე?» ეს ბატონიშვილი თვითონ კალაფი იყო.

დამარცხებული ტურანდოტი ცდილობს მზაკვრული ხერხებით გაიგოს კალაფის და მამამისის სახელები, რასაც შეიძლებს კიდევაც თავისი მოახლეების ზელიმასა და ადელმას დახმარებით. მეორე დღეს დივანის სხდომაზე დამარცხებული კალაფი ხანჯალს იშიშვლებს და სურს თავი მოიკლას... ამ სურათის ხილვისას, ტურანდოტი, რომელიც გრძნობს სინდისის ქენჯნას, რომ კალაფისა და მამამისის სახელები ვერაგული გზით შეიტყო და არა ჭკუა-გონების მეოხებით, კალაფს სიყვარულით იმსჭვალება და მას სიკვდილისაგან გადაარჩენს. ტურანდოტის ხელით გაბედნიერებულ კალაფს აცნობებენ, რომ მას თავისი სამეფოც დაუბრუნდა.

ამ ტრაგი-კომიკური ზღაპრის დადგმა განზრახული აქვს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს. ვბეჭდავთ პიესის მეორე მოქმედების მეოთხე გამოსვლას მცირეოდენი შემოკლებით. თარგმანი ეკუთვნის პოეტ ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე წ უ კ ე ლ ს.

მ ე ო თ ხ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

მოისმის მარშის ხმა. შემოდის ტრუფალდინი. უკან მოჰყვებიან მხარზე ხმალგადაკიდებული ზანგები. ამათ შემდეგ შემოდიან მონა ქალები, რომელნიც დაფდაფებს სცემენ. მათ მოჰყვებიან ადელმა და ზელიმა. ზელიმას ხელში ლანგარი უპყრია, რომელზეც დაბეჭდილი პაკეტები აწყვია. ტრუფალდინი და მისი ზანგები შემოსვლისთანავე დაემხობიან იმპერატორის წინაშე. გამოჩნდება ტურანდოტი, პირბადეჩამოფარებული, ბრწყინვალე ჩინურ სამოსელში გამოწყობილი, ზვიადი, დიდებული წარმოსადეგობისა. მარშის ხმა წყდება.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ვინ არის იგი, ცრუ იმედით გადაცდენილი,
რომ არ იხსენებს გულშემზარავ, სისხლიან ამბებს
და ნებავს ახსნას ჩვენი ბრძნული გამოცანები?

ა ლ ტ ო უ მ ი (მიუთითებს კალაფზე)

აი, ეს არის, შვილო ჩემო, ღირსია იგი
შენი ნებითვე გაჰყვე ცოლად და აიცდინო
მას საშინელი გამოცდა და სიკვდილი მწარე.
ნუღარ შემოსავ ამ ქვეყანას მწუხარე ძაძით
და გულს მამისას ახალ ეკლებს ნუ განუწონებ.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (მიმართავს ზელიმას)

რა მემართება ეს, ზელიმა! ო, ზეცის ძალნო!

ზ ე ლ ი მ ა

რა მოგივიდათ, დედოფალო?

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

აქ მომსკლელთაგან
ვერავინ შესძლო აძგერება ჩემი გულისა.
ასეთი რამე შესძლო მხოლოდ ამ ახალგაზრდამ.

ზ ე ლ ი მ ა

მაშ სიამაყე იქით იყოს და ყრმას მიეცი
სამი იოლი გამოცანა.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

რაო, რას ამბობ?
როგორ იქნება, უტიფარო! ჩემი ღირსება?

ა დ ე ლ მ ა

(მთელი ამ ხნის მანძილზე გაოცებით ათვალიერებს კალაფს)

ხომ არა ვხედავ ამას სიზმრად, დიადნო ღმერთნო!
ის არის, იგი, მშვენიერი ჭაბუკი, ვინც მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეიქობადის, მამაჩემის, სასახლის კარზე
მინახავს, როგორც შავი მუშა; პრინცი ყოფილა!
ხელმწიფის შვილი! აკი გული მიგრძნობდა ამას.
არ მოშატყუა წინათგრძნობამ.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ჯერ კიდევ დროა,
ხელმწიფის შვილო, უარჰყავით განზრახვა თქვენი
და გაიქეცით, განერიდეთ ჩვენს დივანხანას.
ღმერთმა ხომ იცის, რომ ტყუილად ხმას მივრცელებენ,
თითქოს გულქვა ვარ და სასტიკი. ო, სრულებითაც
არა ვარ გულქვა, მე მსურს მხოლოდ თავისუფლება;
მთელს აზიაში დამდაბლებულს, დაბეჩავებულს
ვხედავ ყველა ქალს, შური უნდა ვიძიო მათთვის.
ამ მეტისმეტად ამაყ, ზვიად მამაკაცებზე,
ნაზ არსებებთან მხოლოდ ძალით რომ მოაქვთ თავი.
დედა-ბუნებამ მე აღმჭურვა მახვილი ჭკუით,
რათა დავიცვა მათგან ჩემი თავისუფლება.

კ ა ლ ა ფ ი

დიადი სული და გონება ეგრეთ მაღალი
მოთავსებულან ამ ღვთაებრივ, ლამაზ სხეულში!
აბა ვინ განსჯის, ვინ გაჰკიცხავს იმ ახალგაზრდას,
ვინც თავს გადახდებს, რათა ჰპოვოს ამგვარი ჯილდო?
ამიტომ თავხედს ნუ მიწოდებთ, ნუ შემიძულებთ,
ძვირფასი განძის დაუფლებას რომ ვცდილობ ასე.
თქვენ ხომ თვითონვე დააწესეთ ამ განძის ფასი
და ღირსეულებს გზა მიეცით მის შესაძენად...
უფლისწული ვარ, ჩემს სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებ,
არც თუ ბედნიერს, სანუკველსა და სანეტაროს,
მაგრამ შეადგენს იგი მთელ ჩემს ავლადიდებას
და თუნდ მომეცეს ის ათასჯერ, მას ათასჯერვე
სიამოვნებით შეგწირავდი, ქალწულო, მსხვერპლად.

ზ ე ლ ი მ ა (ტურანდოტს ჩუმად)

გესმით, პრინცესა? გეკადრებით, ღვთის გულისათვის,
სამი ადვილი გამოცანის ღირსია იგი.

ა დ ე ლ მ ა

კეთილშობილი სიყვარულის ღირსია იგი!
ო, რა მგზნებარე სიყვარულით აღმენთო გული,
როცა შევიტყვე, რომ ის დასტურ ღირსია ჩემი.
მხნედ, ჩემო გულო, მე მას უნდა კვლავ დავეუფლო.

(ტურანდოტს)

ხმას აღარ იღებთ, თქვენ ყოყმანობთ, მეფის ასულო!
თქვენი სახელი გაიხსენეთ, ღირსება თქვენი!

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

და მხოლოდ ამან სიბრალულით მომიღბოს გული?
არა, ტურანდოტ, უნდა ხძლიო სისუსტე შენი!
აბა, თავხედო, მოემზადე!

ა ლ ტ ო უ მ ი

კვლავ მტკიცედ დგახართ,
ხელმწიფის შვილო, თქვენს სიტყვაზე?

კ ა ლ ა ფ ი

მე ისევ ვამბობ:
ან ტურანდოტი, ან სიკვდილი!

ა ლ ტ ო უ მ ი

მაშ წაუკითხეთ
ჩვენი კანონი! მოისმინოს და აცახცახდეს.

(ტარტალია უბიდან გამოიღებს კანონთა წიგნს და პანტალონს გადასცემს.)

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

(გამოართმევს კანონთა წიგნს და ხმამაღლა კითხულობს)

„ყოველ უფლისწულს ძალუძს თხოვოს ტურანდოტს ხელი,
მაგრამ ასული გამოცანას წარუდგენს სამსა;
თუ ვერ ამოხსნა, პრინცს ჯალათის ნაჯახი ელის,
ხოლო პეკინის ჭიშკარი—მის მოკვეთილ თავსა.
თუ გამოიცნო, მეფის ასულს შეირთავს ცოლად,
კანონს დავიცავთ, ვფიცავთ ცაზე მნათობთა სრბოლას“.

ა ლ ტ ო უ მ ი

(მარჯვენა ხელს დაადებს წიგნს)

სისხლის კანონო! ჩემო ტანჯვავ, ჩემო წამებავ!
მტკიცედ დაგიცავ, ვფიცავ ფუ-სის სახელს, ღირსებას.

(გამეფდება ხანგრძლივი დუმილი)

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(ადგება და იწყებს საზეიმო, დეკლამაციური კილოთი)

ერთი ხეა, ხალხის რტოებს, როგორც ფოთლებს ისხამს ისე,
მას არასდროს არა სტოვებს სიმწვანე და სიმაისე.
იგი ფოთლის ცალი გვერდით მუდამ უცქერს ნათელ მზესა,
მაგრამ გვერდით მეორეთი ვერა ხედავს სინათლესა.
ხეზე ახალ წყება-წყებად თაობები იზრდებიან
და ყველაფრის ხნოვანებას კაცნი მისით მიხვდებიან.
მის მწვანე ქერქს სულ ადვილად ამოჭკვეთავ სახელს შენსას
და თუ გახმა ხე ერთ დილას, ვეღარ ჰპოვებ ზედ სახელსაც.
თუ გაქვს ჭკუა სხარტი, მჭრელი, გამოიცან ხის სახელი!

(ისევ დაჯდება)

კ ა ლ ა ფ ი

(რამდენიმე ხანს დადუმებულია, შემდეგ თავს დაუკრავს პრინცესას და ლაპარაკს დაიწყებს)

ბედნიერია თქვენი მონა, მეფის ასულო,
თუ მას არ ელის გამოცანა ამაზე ძნელი.
ის ბებერი ხე, შემოსილი ყოველთვის მწვანით,
ადამიანთა თაობებს რომ რტოებად ისხამს,
რომლის ფოთლებიც ცალი გვერდით მზეს უცქერიან,
მეორეთი კი ვერასოდეს მას ვერ ხედავენ
და რომლის ქერქზეც დაწერილი ბევრი სახელი
მანამდე რჩება წაუშლელი, ვიდრე ხე ხარობს —
წელია თავის დღეებითა და ღამეებით.

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი (გახარებული)

მარჯვედ მოარტყა, ტარტალია;

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

მართალსა ბრძანებთ.

ს წ ა ვ ლ უ ლ ნ ი (ხსნიან პაკეტს)

მართლა წელია, წელიწადი, ნამდვილად წელი!

(გაისმის მუსიკის ხმა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ლ ტ ო უ მ ი (გახარებული)

არ მოგკლებოდეს, შვილო ჩემო, ღმერთთა წყალობა
და შეგეწიოს დანარჩენთა ამოხსნაშიაც.

ზ ე ლ ი მ ა (თავისთვის)

ო, ღმერთო, ღმერთო, შეეწიე!

ა დ ე ლ მ ა (მაყურებლებისაკენ)

ო, არა, ზეცავ!
ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყრმა ამ გულქვას ნადავლად დარჩეს,
ხოლო სატრფომ კი სამუდამოდ დაკარგოს იგი!

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (შეძრწუნებული, თავისთვის)

მან გაიმარჯვოს? შეარცხვინოს სახელი ჩემი?
ეს არ მოხდება, ღმერთებს ვფიცავ!

(კალაფს)

ზვიადო გიჟო!
ჯერ ნუ ზეიმობ, მომისმინე და ამოხსენი!

(ისევ ადგება და განაგრძობს საზეიმო, დეკლამაციური კილოთი)

ნაზ ბუდეში ზის სურათი ერთი,
თვით არის შუქი და ბრწყინვალება,
თუმცა იცვლება იგი ყოველთვის,
არ ჰკარგავს ლამაზ ფეროვანებას,
თუმც ვიწრო ჩარჩო შემოვლებია,
არ ისაზღვრება არასდროს ვიწროდ
და მთელს სამყაროს მთა-ველებიანს
ჩვენ ამ პატარა სურათით ვიცნობთ.
ბუდეში ერთი კრისტალი ბრწყინავს,
ნატვრისთვალივით ფერების მღვრელი,
უცეცხლოდ იწვის, ციმციმებს, ბზინავს
და შიგ ჰხატია ქეყანა მთელი.
თვითონ ზეცაც კი შიგ იხატება,
სხვა ყოველივეც, რაც კი მას ხვდება,
და სილამაზით აღემატება
სურათი იგი თვის ნამდვილ დედანს.

კ ა ლ ა ფ ი

(მცირე ხნის ჩაფიქრების შემდეგ თავს დაუკრავს პრინცესას)

ნუ განრისხდებით, დიდებულო მშვენიერებავ,
თუ ამ მეორე გამოცანის პასუხსაც გეტყვით.
ნაზი სურათი, ჩაჭედილი ვიწრო ჩარჩოში,
მთელი ქვეყანა შიგ რომ არის მოთავსებული,
კრისტალი, რაშიც ჩასმულია თვით ეს სურათი,
ისე, რომ იგი თავის დედანს აღემატება,
ეს არის თვალი, თქვენს თვალში კი, მეფის ასულო,
მთელი ქვეყანა მოთავსდება ჩემი გულისთვის,
თუკი მე იგი გამიღიმებს სიყვარულითა.

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი (სიხარულით წამოხტება)

ჩემს სულსა ვფიცავ, ტარტალია, პრინცმა პირდაპირ
შავში მოარტყა.

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

დიახ, სწორედ შიგ შუაგულში.

ს წ ა ვ ლ უ ლ ნ ი (ხსნიან პაკეტს)

თვალია, თვალი!

(გაისმის მუსიკის ხმა)

ა ლ ტ ო უ მ ი

არ მოველოდი ეგზომ დიად ბედნიერებას!
ძალნო ციურნო, შეეწიეთ მას მესამედაც!

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (ადგება ძლიერ განრისხებული)

უწინამც ნაცარ-მტვრად ქცეულა მთელი ქვეყანა!
ო, მაშ იცოდე, თავხედო ყრმავ, რომ რამდენადაც
გულში იმედი გესახება გამარჯვებისა,
იმდენად მწვავე სიძულვილი შენს მიმართ მიპყრობს.
ნუღარ დაუცდი უკანასკნელს! გაიქეცი! გასწი!
განშორდი დივანს და იხსენი სიცოცხლე შენი!

კ ა ლ ა ფ ი

მე თქვენს სიძულვილს ვუფრთხი მხოლოდ, ტურფა პრინცესა,
ამ უბედურ თავს მე თქვენს ფერხთით დავამხობ მტვერში,
რაკი ვერ შევძელ აძგერება თქვენი გულისა.

(დაემხობა პრინცესას წინაშე)

ა ლ ტ ო უ მ ი

შენ კი, ასულო, შეკითხვები აკმარე სტუმარს,
ეყო, რაც ახსნა, ნუღარ მისცემ სხვა გამოცანას.
ვერც ერთმა პრინცმა ამდენი ვერ შეიძლო დღემდე.
მიეცი ხელი, ცოლად წაჰყევ, ღირსია იგი.
ბოლო მოუღე ამ გამოცდას.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მას მივცე ხელი?
ბოლო მოვუღო მის გამოცდას? ო, არა, არა!
კანონით სამი გამოცანა უნდა ამოხსნას.

(ადგება და განაგრძობს უწინდელი დეკლამაციური, საზეიმო კილოთი)

ერთ ნივთს დიდ პატივს არა სცემს ყველა,
მაგრამ ხელმწიფე აფასებს დიდად,
ჭრის მახვილივით და მისებრ ელავს,
თუმც მახვილს არ ჰგავს სხვით არაფრითა.
უსისხლო გახლავთ ჭრილობა მისი,
სიცოცხლე მოაქვს სიკვდილის ნაცვლად;
მასზე მშვიდობის სიმღერა ისმის,
მას ხალხი შეჰყავს სიუხვის ტაძრად.
მან დაასახლა ქვეყნები ვრცელი,
მან ქალაქები აღაგო ძველად,
არის ყოველთვის მშვიდობის მცველი
და კმაყოფილი ჰყავს ხალხი ყველა.
თუ შენ ვერ მეტყვი ამ ნივთის სახელს
ჩვენს ტურფა მხარეს მოსცილდი წამსვე!

(ამ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას აიწევს პირბადეს)

აქ შემომხედე და დაფიქრდი, ნუ გამახელებ!
ან მოკვდი ახლავ, ან ის ნივთი დამისახელე!

კ ა ლ ა ფ ი

(თავზარდაცემული თვალებზე ხელებს დაიფარებს)

ო, ზეციურო ბრწყინვალებავ! თვალთ დამიბნელდა!

ა ლ ტ ო უ მ ი

იგი დაიბნა, ღმერთო ჩემო, თავგზა დაკარგა.
დინჯად, გონს მოდი, ჩემო შვილო, მხნეობა გმართებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ე ლ ი მ ა (თავისთვის)

შიშისგან გული მიკანკალებს.

ადელმა (მაყურებლებისაკენ)

ჩემი ხარ, პრინცო!
შეიძლებს ჩემი სიყვარული შენს გადარჩენას.

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი (კალაფს)

ღვთის გულისათვის, გევედრებით, დაფიქრდით კარგად,
გონს მოდით, გული გაიმაგრეთ, ხელმწიფის შვილო!
ო, ვაგლახ! ვაგლახ, დაიღუპა, დაკარგა თავი.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (კალაფს)

ბედშავო პრინცო,
თვითონ ისურვე სიკვდილი და მიიღე კიდეც.

კ ა ლ ა ფ ი

(გონს მოვა და ღიმილით თავს დაუკრავს ტურანდოტს)

მე მხოლოდ თქვენმა ღვთაებრივმა მშვენიერებამ
დამცა თავზარი, დედოფალო, მოულოდნელად
და დაიბინდა ერთის წამით გონება ჩემი;
ეს სრულებითაც როდი ნიშნავს ჩემს დამარცხებას.
ნივთი, რომელსაც არ აფასებს ჯეროვნად ყველა,
მაგრამ რომელსაც თვით ჩინეთის იმპერატორი
საკუთარ ხელით წლის პირველ დღეს მიაგებს პატივს,
ის იარაღი, მახვილივით, სისხლს რომ არ აქცევს,
გუთანი გახლავთ.

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ხიხარულით გავგიჟდე ლამის,
ნება მომეცი, ჩემო შვილო, გაღაკეხვიო.

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

დიდება უფალს, ჩვენო მეფევ, ამიერიდან
თქვენს მწუხარებას სამუდამოდ მოეღო ბოლო.

ს წ ა ვ ლ უ ლ ნ ი (პაკეტს ხსნიან)

გუთანი არის, გუთანია, გუთანი გახლავთ!

(გაისმის მუსიკის ძლიერი, დამაყრუებელი ხმა. ტურანდოტი თითქმის გრძნობამიხდილი დაეშვება თავის ტახტზე)

ზ ე ლ ი მ ა (თავს დასტრიალებს დედოფალს)

რა დაგემართათ, დედოფალო, ერთი შეხედეთ,
რა ლამაზია, გამარჯვება მან მოიპოვა.

ა ლ ტ ო უ მ ი (ტურანდოტს)

გულქვა ასულო, მოვლენილო ჩემი სიბერის
დასამწუხრებლად, აღსასრული დაუდგა უკვე
საშინელ კანონს და ყოველგვარ უბედურებას.
აქ მოდი, გულში ჩაგიკონო, ძვირფასო პრინცო!
მე სიხარულით ვესალმები შენს სიძეობას.

(ალტოუმი ძალზე გახარებულია, პანტალონისა და ტარტალიას დახმარებით ტახტიდან გადმოვა. სწავლულები სავარძლებიდან წამოდგებიან და შეჯგუფდებიან სცენის სიღრმეში. ყველა კარი იღება. გარეთ მოჩანს ხალხი. მთელი ამ ხნის მანძილზე გაისმის მუსიკის გრიალი).

თ ა მ ა რ ა შ ე ნ ში

სტალინირიდან ჯავისაკენ მიმავალი გზატკეცილი შუაზე ჰყოფს სოფელ თამარაშენს. ეს „მცირე ქალაქი“, როგორც მას ძველად უწოდებდნენ, აშენა საქართველოს სახელოვანმა მეფე თამარმა.

გზის მარჯვენა მხარეს ბაღ-ვენახებში მოჩანს განცალკევებით მდგარი საკმაოდ მოზრდილი ერთსართულიანი სახლი, რომელიც ცნობილ ქართველ მწერალ ივანე მაჩაბელს ეკუთვნოდა.

სამოცი წლის წინათ თამარაშენის ხშირი სტუმრები იყვნენ დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ისინი შაჰაბლიანთ სახლის ფართო აივნიდან ხშირად გასცქეროდნენ და ტკბებოდნენ საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის პეიზაჟით: დაბლა მოჰქუხს მდინარე ლიახვი, მარჯვენა მხარეს გაშლილია ბაღ-ვენახები, მდინარის იქით გასდევს მთაგრეხილები, ხოლო უფრო შორს აღმართულან ზამთარ-ზაფხულ დათოვლილი კავკასიონის მწვერვალები.

ახლა ამ შენობაში მოთავსებულია თამარაშენის საბავშვო სახლი, რომელშიც 52 ბავშვი იზრდება. ბევრ მათგანს მაგა სამამულო ომში დაეღუპა. ისინი სხვადასხვა ეროვნებისანი არიან, სხვადასხვა ზნე-ჩვეულება აქვთ, მაგრამ ისე უყვართ ერთმანეთი, თითქოს ერთი დედ-მამის შვილები იყვნენ.

მიტო ჯაფარიძე ეროვნებით კოორეელია. ხუთი წლის წინათ ის კოჯრის საბავშვო სახლიდან გადმოიყვანეს. როცა მიტო კოჯრის საბავშვო სახლში მიუყვანიათ, ისე პატარა ყოფილა, რომ თავისი სახელი და გვარი არ სცოდნია. საბავშვო სახლის აღმზრდელებს მისთვის მიტო დაურქმევიათ, ხოლო შემდეგ, ბავშვი ცოტა რომ წამოზრდილა, გვარი თვითონ აურჩევია და ჯაფარიძედ დაწერილა.

ამჟამად მიტო მეორე კლასშია, ქართულად თავისუფლად ლაპარაკობს, იცის რუსული და ოსურიც. ერთხელ მიტო ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ჩინელს უნახავს. პატარა ბავშვი გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა ჩინელს და გული ჩიტივით უფრთხიალებდა.

ჩინელი მიტოს ჩინურად დაელაპარაკა. მართალია, მიტოსთვის გაუგებარი იყო ჩინელის ლაპარაკი, მაგრამ ბავშვის გულში თითქოს მეხსიერების სიმი შეირხა, „ო

იანი (ოري ლად (დედა) წამოიძახა მან. ეს, ალბათ, ერთადერთი სიტყვა იყო, რომელიც ჩვილი ბავშვის მეხსიერებამ მშობლიური ენიდან გულის სიღრმეში შემოინახა.

— აქ კარგად ცგრძნობ თავს, — უთხრა ჩინელს კორეელმა და მერე დასძინა, — ძმეცბიც და დებიც ბევრი მყავს, — ხელი ეზიში თავმოყრილ ბავშვებისაკენ გაიშვირა და მათთან გაიქცა.

შურა შავარდენიძე უკვე კარგა ხანია, რაც სასავშვო სახლში იზრდება. შურას ყველა უყვარს, ყველას პატივს სცემს, მაგრამ თავის გულითად, უახლოეს მეგობრად ის ამერეთი კოზაევას თვლის. შურა ტანმაღალი, წითური გოგონაა, ამერეთი კი ტანდაბალი: და შავგვრემანი, ლამაზი სახე აქვს. გარეგნულად ისინი ერთმანეთს სრულიად არ გვანან, მაგრამ ორივეს ერთი რამ აქვთ საერთო. ეს მათი მერცხალივით ცოცხალი თვალებია, რომლებიც ერთსაც და მეორესაც ყოველთვის უცინით. ეს გოგონები ერთად ყოფნას არაფერს ამჯობინებენ. ისინი სკოლაში წყვილად მიდიან, გაკვეთილებსაც ერთად ამზადებენ, საუბრობენ, ოცნებობენ. ამერეთი ხუთოსანია. შურაც კარგად სწავლობს, მაგრამ არითმეტიკაში ცოტა მოისუსტებს. თავისუფალ დროს ამერეთი ყოველთვის ეხმარება მეგობარს საშინაო დავალების შესრულებაში.

იური ჯიოევი და ლადო გასიევი განუყრელი მეგობრები არიან.

სასავშვო სახლში ლადოს პატარა და ნათელაც იზრდება. იგი 11 წლის ლამაზი გოგონაა, რომელიც დილიდან საღამომდე ძმის მზრუნველობაშია. ხან ცხვირსახოცს ურეცხავს. ხან ნალათზე ღილს უკერებს, ტანისამოსს უწმენდს, საწოლს უსწორებს.

სასავშვო სახლში ჩამოყალიბებულია ფოტომოყვარულთა, მომღერალთა და სასალეტო წრეები. ბავშვები ხშირად ნახულობენ კინოსურათებს, სპექტაკლებს.

ამას წინათ სტალინირის № 3 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დიდი საღამო გამართეს თამარაშენის საბავშვო სახლის აღსაზრდელებისათვის. საკონცერტო განყოფილებაში, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, სასავშვო სახლის აღსაზრდელებიც გამოვიდნენ. ამ დიდიდან მათ შორის მჭიდრო მეგობრობა დამყარდა. ამ რამდენიმე დღის წინ, სასავშვო სახლში მივიდა მეზღვაური ბალტიის ფლოტიდან, რომელმაც სახლის დირექტორს განუცხადა: ეს ჩემი მშობლიური სახლია და გთხოვთ ნება მომცეთ დავათვალიეროო. როცა დირექტორი შეეკითხა, თუ რატომ არის ეს სახლი მისთვის მშობლიური, მეზღვაურმა მიუგო: მე ამ სახლში ექვს წელს ვიზრდებოდიო. მხოლოდ მზარეულმა სონია გაზაევამ, რომელიც უკვე დიდი ხანია მუშაობს სახლში, იცნო იგი. ეს ხომ ჩვენი სერგო თედეევია, — წამოიძახა გახარებულმა სონიამ, მშობელ დედასავით გადაეხვია და გადაკოცნა. ამ დღეს მეზღვაურმა თედეევმა თავისი საწოლი ოთახი ინახულა, ბავშვებთან ერთად ისადილა, ხოლო საღამოთი ბევრი, ძალიან ბევრი რამ უამბო სამეზღვაურების ცხოვრებიდან. დღეს-ხვალ სერგო თედეევს შვებულება უთავდება. ბავშვებმა გადაწყვიტეს გააცილონ იგი და საჩუქრები გაატანონ.

— ძალიან კარგი ბავშვები არიან, მე ისინი ისე შემიყვარდა. როგორც საკუთარი და-ძმანი, — აცხობს სერგო თედეევი.

მართლაც, სასავშვო სახლის აღსაზრდელები ძალიან კარგი ბავშვები არიან თავიანთი ხასიათით და ქცევით, ისეთი ბავშვებია, რომ ერთი ნახვით ადამიანს თავს შეაყვარებენ.

თამარაშენის საბავშვო სახლის აღსაზრდელები მხიარულად ატარებენ თავიანთ ბედნიერ ბავშვობას. აქ, ამ მშობლიურ სახლში იზრდებიან ისინი, ეუფლებიან ცოდნას, სწავლობენ მეგობრობას და სამშობლოს სიყვარულს.

ეს სახლი ბავშვთა მეგობრობის პატარა კერაა!

ივანე ურჯუმელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმინდი

სიმინდი ერთწლიანი მცენარეა. იგი ეკუთვნის მარცვლოვანთა ოჯახს, მაგრამ თავისი გარეგნობითა და ბიოლოგიური თვისებებით დიდათ განსხვავდება სხვა მარცვლეულთაგან.

ნათესი ფართობების მიხედვით სიმინდს დიდი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მისი მოსავალი წელიწადში შეადგენს 130 მილიონ ტონაზე მეტს. ამ ტვირთის გადატანას დაჭირდება 6.500 საოკეანო გემი ან თითო 50 ვაგონის შემადგენლობის 160 ათასი მატარებელი, რომლის საერთო სიგრძე შეადგენს 50 ათას კილომეტრს, ე. ი. ეკვადორის სიგრძეზე მეტს.

სიმინდის მოყვანას ადამიანი უხსოვარი დროიდან მისდევს. უძველეს სამარხებში აღმოჩენილ სიმინდის ნაშთებისა და სხვა ნივთების მეოხებით, რომლებზედაც გამოსახულია სიმინდის ტაროები, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სიმინდი პირველად მოყავდათ პერუში (ლათინური ამერიკა), ხოლო შემდეგ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, უფრო გვიან კი — ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

პირველი ცნობა სიმინდის შესახებ ეკუთვნის ქრისტეფორე კოლუმბს. 1492 წლის 5 ნოემბერს იგი წერდა: «მე ვნახე მარცვალი, რომელსაც მაისი ეწოდება» («მაის» ინდიურად ნიშნავს სიმინდს).

ამერიკის აღმოჩენის შემდეგ სიმინდი ესპანეთში გადმოიტანეს. მალე იგი ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

მე-17 საუკუნის მიწურულს სიმინდი გავრცელდა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში, სადაც მან, როგორც სითბოს და ტენის მოყვარულმა მცენარემ, თავისი მეორე სამშობლო ჰპოვა.

სიმინდის კულტურამ ფეხი მოიკიდა რუსეთის სამხრეთ ოლქების სოფლის მეურნეობაშიც. პირველად იგი მოყავდათ ყირიმში. ევროპელმა კოლონიზატორებმა სიმინდი ჩაიტანეს აგრეთვე აფრიკაში, ინდოეთში, ჩინეთში, იავაში.

ჩვენში სიმინდი, როგორც ძვირფასი კულტურა, ჯეროვნად დაფასდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. წლითიწლობით იზრდება მისი მოსავალი. ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებით უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში სიმინდის ნათესები აყვანილი იქნება სულ ცოტა 28 მილიონ ჰექტარამდე.

სიმინდის ნათესების გადიდება 28 მილიონ ჰექტარამდე შესაძლებელს გახდის მარცვლეულის მოსავლის აყვანას 10 მილიარდ ფუთამდე წელიწადში. მეცხოველეობის საჭიროებისათვის დაიხარჯება 4 მილიარდ ფუთზე მეტი, რაც მოგვცემს მეცხოველეობის დიდძალ პროდუქტს. 1960 წელს ჩვენ გვექნება 2-ჯერ მეტი ხორცი, ქონი, რძე, 2,2-ჯერ მეტი კვერცხი, 1,8-ჯერ მეტი მატყლი, ვიდრე გასულ წელს გვქონდა.

რატომ ექცევა სიმინდის წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება? განა არ შეიძლება პირუტყვი ვკვებოთ ხორბლით ან სხვა მარცვლეულით?

საქმე იმაშია, რომ სიმინდი არის უხვმოსავლიანი კულტურა. მოსავლიანობის მხრივ იგი ოდნავ ჩამორჩება შაქრის ჭარხალს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭარხლის მოსაყვანად საჭიროა თითქმის ხუთჯერ მეტი შრომა, ვიდრე სიმინდის მოსაყვანად.

სიმინდი წარმოადგენს მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების მძლავრ რეზერვს. კარგად მოვლისა და კარგ კლიმატურ პირობებში კოლმეურნეობები ჰექტარიდან ჩვეულებრივ იღებენ 15 — 20 ცენტნერ ხორბალს, ან ქერს, მაშინ, როცა სიმინდი ასეთსავე პირობებში ჰექტარზე იძლევა 30 — 40 ცენტნერ მარცვალს.

მაგრამ არც ეს ციფრი შეადგენს ისეთ ზღუდეს, რომლის იქით არ შეიძლება სიმინდის მოსავლიანობის გადიდება. სოციალისტური შრომის გმირმა მარკ ოზიორნიმ შეძლო ჰექტარზე 223 ცენტნერი სიმინდის მოყვანა. 182 ცენტნერამდე აიყვანა სიმინდის საჰექტარო მოსავალი ჩოქოლი ქვაჩახიამ, 222 ცენტნერამდე — ძუკუ რიგვავამ. სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები ახლა ერთეულები როდი არიან. დღითიდღე იზრდება მათი რიცხვი.

პირუტყვის საკვებად დახარჯულ სიმინდის 300 ცენტნერი მწვანე მასისა და 25 ცენტნერი მარცვლის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ 10.000 ლიტრი რძე, 1.300 კილოგრამი ბეკონი (ცოცხალი წონით) და 800 კილოგრამი ღორის ხორცი. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მეცხოველეობის მაღალი დონე უმთავრესად დამოკიდებულია სიმინდის მოსავალზე.

სიმინდი, როგორც სურსათი, პირუტყვის საკვები და ტექნიკური კულტურა, გამოიყენება სხვადასხვა სახით. სიმინდისაგან (მარცვალი, ღერო-ჩალა) 200-მდე სხვადასხვა პროდუქტი და ნაწარმი მზადდება. სასურსათო პროდუქტებიდან აღსანიშნავია: მჭადი, ღომი, კონსერვები, ჭყინტი სიმინდი (შემწვარი ან მოხარშული), სახამებელი, შაქარი, ყველი, შედედებული რძე, ბატიბუტი, მარგარინი, სპირტი, ლუდი, ღვინო, უალკოჰოლო სასმელები; საკვები პროდუქტებიდან — სიმინდის მარცვალი, საკვები ფქვილი, ღერღილი, შაქარი, სილოსი, ჩალა; განსაკუთრებით მრავალმხრივია სიმინდის ტექნიკური გამოყენება. მისი ღეროსაგან ამზადებენ ქაღალდს, საცობთა შემცვლელებს, ფქვილს (ლითონის საწმენდად, ფოლადისათვის ცხიმის მოსაცილებლად, მსუბუქი კერამიკული ნაწარმის გასაკეთებლად და სხვ.); სიმინდის ფქვილისა და ღერღილისაგან მზადდება შემკვრელები, აზბესტი, მშრალი ელემენტები, ქიმიკალები, ფეთქებადი ნივთიერება, წებო, მელანი და ა. შ.

სიმინდის ამ და მთელმა რიგმა სხვა უპირატესობებმა უზრუნველყო მისი ფართოდ გავრცელება დედამიწაზე. ამითვე აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომელსაც იჩენს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სიმინდის წარმოების მკვეთრი აღმავლობისადმი, მისი ფართოდ გავრცელებისადმი ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში.

ი. ნანავა

დილის გამამხნევებელი ვარჯიში

მზია ჯუღელი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ყოველ მშობელს სურს, რომ მისი შვილი კარგად სწავლობდეს, იზრდებოდეს ჯანმრთელი, გამბედავი და ამტანი. ჩვენი ქვეყნის, ჩვენი დროის ადამიანები — ვაჟკაცური, ენერგიული, მტკიცე ნებისყოფის ადამიანებია. ისინი აშენებენ კომუნიზმს, მათ სიძნელეებისა არ ეშინიათ, მზად არიან დაიცვან ჩვენი ქვეყანა ყოველგვარი მტრისაგან. ეს შესანიშნავი თვისებები მუშავდება კომუნისტური აღზრდის პროცესში.

ლენინი და სტალინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდას. ჩვენი ნორჩი თაობის კომუნიზმის მშენებლებად, მრავალმხრივ განვითარებულ ადამიანებად აღზრდა, გონებრივ, შრომით, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად, ფიზიკურ აღზრდასაც გულისხმობს.

ცნობილია, რომ მარქსი, ენგელსი და ლენინი სისტემატურად ეწეოდნენ ფიზიკურ ვარჯიშს. თანამედროვეთა მოგონებით, მარქსი დაუცხრომელი მოგზაური იყო; ენგელსი კარგი ტანმოვარჯიშე იყო, ცურავდა, ფარიკაობდა, უყვარდა ცხენოსნობა და იყო გამოცდილი ტურისტი.

ლენინი კარგად ციგურაობდა, მართავდა ველოსიპედს, კარგად ცურავდა, იყო კარგი მონადირე და ძლიერი მოჭადრაკე.

დიდად აფასებდა სტალინი საბჭოთა ადამიანების ძალასა და წრთობას, ამტანობასა და სიმტკიცეს შრომაში, ბრძოლაში თუ სპორტულ ასპარეზობაში. ფიზკულტურისა და სპორტის არნახული განვითარება ჩვენს ქვეყანაში სტალინის სახელთანაა დაკავშირებული.

თვით ამ გენიოსებისათვისაც კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფიზიკური და გონებრივი შრომის შენაცვლებას. სპორტული საქმიანობა დიდი გონებრივი შრომის შუალედებში დასვენებას უდრიდა მათთვის და ახალი, დაუშრეტელი ენერგიით აღავსებდა მათ.

ფიზიკური აღზრდა უნდა დავიწყოთ სულ პატარაობიდანვე. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების დახმარებას ბავშვებისადმი. ბავშვის მარტო გარეგნული შესახედაობითა და მიხვრა-მოხვრითაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ზრუნავენ თუ არა მშობლები ბავშვის ფიზიკურ აღზრდაზე.

მცირე ასაკის ბავშვები, ჩვეულებრივ, უყურადღებონი არიან, არა აქვთ უნარი საკმაო ხანს შეაჩერონ ფიქრი და გონება ამა თუ იმ საგანზე. ისინი ხშირად არღვევენ, აგრეთვე, რეჟიმს და ამით ზიანს აყენებენ თავიანთ ჯანმრთელობას.

უპირველესი სკოლა ყურადღებიანობისა — ესაა კონტროლი საკუთარი მოძრაობებისადმი. საჭიროა სულ პატარაობიდანვე განვითაროთ ყურადღებიანობა და გამძლეობა; ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია დილის გამამხნევებელ ვარჯიშს და ტანის ცივი წყლით დაზელას, რასაც სისტემატურად, ყოველდღე უნდა ეწეოდეთ.

არიან ბავშვები, რომლებიც არა თუ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს არ ასრულებენ, არამედ ურეჟიმოდ ცხოვრობენ: იძინებენ — როცა მოესურვებათ, ჭამენ—შიათ თუ არ შიათ, ან ოდნავ იგრძნეს თუ არა ჭამის სურვილი. ასეთი ბავშვები არ არიან ენერგიულნი, სუსტდებიან, ფიზიკურად კარგად არ ვითარდებიან და ამის გამო სწავლაშიც ჩამორჩებიან.

არის ბავშვების მეორე კატეგორიაც; ისინი, პირიქით, ზრდილნი, თავდაჭერილნი და ბეჯითნი არიან; მასწავლებლებისა და მშობლების დავალებებს ზუსტად ასრულებენ, მაგრამ როგორც კი საქმე რაიმე ძნელ ფიზიკურ ვარჯიშზე, ან ისეთ თამაშზე მიდგება, სადაც სიმკვირცხლეა საჭირო, — მოისუსტებენ. ასეთი ბავშვები არ არიან ამტანები და, თუმცა დიდი მოწადინებით მეცადინეობენ, ხშირად სწავლაში ჩამორჩებიან: ხან თავის ტკივილი აწუხებთ, ხან უეცრად ცივდებიან, ხან ადვილად გადაიღლებიან ხოლმე.

ამაში ბრალი მიუძღვის ზოგიერთ მშობელს, რომელიც ზედმეტად ფუთნის ბავშვს, ნებას არ აძლევს ირბინოს, წაითამაშოს ამხანაგებში, არ აჩვევს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. ასე იზრდება, როგორც იტყვიან ხოლმე, „დედას ბიჭი". ასეთი ბავშვები სასწავლო წლის მიწურულს მოდუნდებიან ხოლმე, იფიტებიან, გადაღლილობას უჩივიან და, მიუხედავად სიბეჯითისა, სწავლაში ჩამორჩებიან.



1 ვარჯიში 2 ვარჯიში 3 ვარჯიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც მშობლები ზრუნავენ ბავშვის ფიზიკურ აღზრდაზე. ბავშვი იზრდება ჯანმრთელი, მხიარული, ამტანი, ენერგიული. ფიზკულტურა და სპორტი აუცილებელია და შესაძლებელიც შევუთავსოთ კარგ სწავლას. ამის ნათელი მაგალითია სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დვალიშვილის და სპორტის ოსტატის ლ. სანაძის ცხოვრება. ნ. დვალიშვილმა ფრიადზე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და ახლაც წარმატებით სწავლობს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ლ. სანაძემ ფრიადზე დაამთავრა კიროვის სახელობის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და წარმატებით განაგრძობს სწავლას ასპირანტურაში.

ბავშვებო, თქვენ გატაცებით გიყვართ სპორტის სხვადასხვა სახე. თქვენ შორის არიან შესანიშნავი ნორჩი ფეხბურთელები, მეთხილამურეები, მოფარიკავეები, კალათბურთელები, ტანმოვარჯიშეები. ეს ყველაფერი სასარგებლო და სასურველი საქმეა. რაც შეეხება დილის გამამხნევებელ ვარჯიშს — ესაა სავალდებულო და აუცილებელი, ესაა მინიმუმი, რასაც უნდა ასრულებდეს ყოველი საბჭოთა მოსწავლე.

ჯანმრთელი ძილის შემდეგ დილით იღვიძებთ მხიარულნი და ემზადებით სკოლაში წასასვლელად. არ დაგავიწყდეთ ჩაატაროთ დილის გამამხნევებელი ვარჯიში და გახსოვდეთ, რომ თვით სპორტის ოსტატები დილის გამამხნევებელი ვარჯიშით ხვდებიან მზის ამოსვლას. თქვენთვისაც ასევე უნდა იწყებოდეს ყოველი სასწავლო დღე.

გახსოვდეთ, რომ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს გაცილებით მეტი სარგებლობა მოაქვს, როცა მას სისტემატურად, ყოველდღე ასრულებთ. არ გამოტოვოთ არც ერთი დღე, თუ გსურთ იყოთ ჯანმრთელნი, ენერგიულნი, თუ გსურთ გქონდეთ მტკიცე ნებისყოფა.

როგორც კი ლოგინიდან ადგებით, გამოაღეთ ფანჯარა გაწმინდეთ ჰაერი, ნუ ჩაიცვამთ ტანსაცმელს, ტრუსისა და მაისურის ამარა შეუდექით ადგილზე სიარულს. იარეთ წყნარად, ისუნთქეთ ღრმად და აუჩქარებლად. ჰაერი შეისუნთქეთ ცხვირიდან, ხოლო ამოისუნთქეთ—პირიდან. თავი ასწიეთ მაღლა, მხრებში გაიშალეთ, მკერდს ნუ შეხრით, ხელები ამოძრავეთ თავისუფლად.

აი, დაწყებითი ვარჯიშის რამდენიმე სახე:

I ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: დადექით იატაკზე, ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე.

შესრულება: ერთზე და ორზე — ორჯერ შემოჭკარით ტაში ზურგს უკან, ზედიზედ (შეისუნთქეთ). სამზე და ოთხზე — მკლავების განზე გაშლით ზედი-ზედ ორჯერ შემოჭკარით ტაში, თავს ზემოთ (ამოისუნთქეთ).

ეს ვარჯიში გაიმეორეთ 4—6-ჯერ.

II ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: ფეხები მხრების სიგანეზე გაშალეთ, ხელები თავს ზემოთ ასწიეთ, ნებით წინ.

შესრულება: ერთზე — მარცხენა ფეხი აიქნიეთ წინ, შეახეთ მარჯვენა ხელის გულს (შეისუნთქეთ). ორზე — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას (ამოისუნთქეთ). სამზე და ოთხზე — იგივე გაიმეორეთ მეორე ფეხით.

ეს ვარჯიში გაიმეორეთ 4—5-ჯერ.

III ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: ფეხები გაშალეთ მხრებზე განივრად.

შესრულება: ერთზე — მარჯვენა მკლავი ასწიეთ განზე და ზევით, მოხარეთ თავს ზევით, მარცხენა მკლავი მოხარეთ ზურგს უკან და გააკეთეთ ზნექი მარცხნივ (შეისუნთქეთ). ორზე — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას (ამოისუნთქეთ). სამზე და ოთხზე — გაიმეორეთ იგივე მარჯვნივ.

ეს ვარჯიში გაიმეორეთ 5-ჯერ.

IV ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: ფეხის ქუსლები ერთმანეთს მიადგით, ხელები დაბლა დაუშვით.

შესრულება: ერთზე — მიაბრუნეთ ზედატანი მარცხნივ, გაშალეთ ხელები მხრების გასწვრივ (შეისუნთქეთ). ორზე — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას (ამოისუნთქეთ). სამზე და ოთხზე—იგივე გაიმეორეთ მარჯვნივ.

ეს ვარჯიში გაიმეორეთ 4—5-ჯერ.

V ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე ცოტა უფრო განივრად. ხელები თავს ზემოთ ასწიეთ, თითები ჩააქვდეთ.

შესრულება: ერთზე — ფეხის ცერებზე აწევით გააკეთეთ განზნექი (შეისუნთქეთ). ორზე — მუხლებში მოიხარეთ და წინზნექით ხელები დაიქნიეთ ფეხებშუა — „შეშის ჩეხვა" — (ამოისუნთქეთ). სამზე და ოთხზე — გაიმეორეთ იგივე ვარჯიში.

ეს ვარჯიში შეასრულეთ 5—6-ჯერ.

VI ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა: ფეხები მიადგით ერთმანეთს, დოინჯი შემოიდგით.

შესრულება: ოთხი შეხტომა ორივე ფეხზე, ოთხი შეხტომა — მარცხენა ფეხზე და ოთხი შეხტომა — მარჯვენა ფეხზე. გაიმეორეთ 2-ჯერ, ისუნთქეთ თანაბრად.



4 ვარჯიში



5 ვარჯიში

ჯორდანო ბრუნო

ძველად, როცა არ იყო განვითარებული მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია და მეცნიერების სხვა დარგები, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ტელესკოპი, შეუძლებელი ხდებოდა ადამიანს გაეგო სამყაროს აგებულების საიდუმლოება.

ციურ სხეულთა მოძრაობის უცვლელი სურათი ადამიანს მცდარ წარმოდგენას აძლევდა დედამიწაზე, მზეზე, ვარსკვლავებზე. მართლაც მზე ამოდიოდა ყოველ დილით აღმოსავლეთიდან და საღამოთი ჩაესვენებოდა დასავლეთით. მთვარეც ურიცხვ ვარსკვლავებთან ერთად ჩადიოდა დასავლეთში. ადამიანი რწმუნდებოდა, რომ დედამიწა წარმოადგენს სამყაროს ცენტრს, რომლის გარშემო კაშკაშებს ყველა ციური სხეული.

ასევე ფიქრობდნენ იმდროინდელი მეცნიერებიც. ზოგს დედამიწა წარმოედგინა დასალ ცილინდრულ მოყვანილობის სხეულად, რომლის ერთ მხარეზე ადამიანები ცხოვრობენ, ზოგს დაგრძელებულ სფერულად, რომელიც შემოსაზღვრულია კლდოვანი ნაპირებით და ტივტივებს ოკეანეში, ზოგს კიდევ გადაბრუნებული ჯამის ფორმის მქონე სხეულად, რომელიც დიდ კუზე, სპილოებზე, ან ვეშაპზე იყო დაყრდნობილი. ზოგიერთი მეცნიერი თავისი გონივრული მიხვედრილობით უახლოვდებოდა ჭეშმარიტებას, — გამოთქვამდა აზრს, რომ დედამიწა სფერული მოყვანილობისაა და მოძრაობს.

ჩვენს უძველეს წინაპრებს. უფრო გულუბრყვილო წარმოდგენა ჰქონდათ ციური სხეულების შესახებ. მზეს და მთვარეს თვლიდნენ ხან სათნო, ხან მჯაცრ ღმერთებად. ქმნიდნენ მათთვის საგალობლებს, უშენებდნენ ტაძრებს, მიჰქონდათ უხვი შესაწირი, ლოცულობდნენ და შვილას თხოვდნენ მათ.

დროთა მსვლელობაში ხალხის მოთხოვნილების და კულტურის ზრდასთან ერთად საჭირო გახდა ყურადღებით ეჭარმოებინათ ციურ სხეულებზე დაკვირვება და გაეღრმავებინათ ცოდნა სამყაროს აგებულების შესახებ.

ჩვენი წელთაღრიცხვის II-2 საუკუნეში გამოვიდა ალექსანდრიელი მეცნიერის კლავდიუს პტოლომეის წიგნი „ალმაგესტი“ (არაბულ ენაზე ეს სიტყვა ნიშნავს „უდიდეს თხზულებას“). ამ წიგნში სხვა მრავალ ცნობებთან ერთად მოცემული იყო სამყაროს აგებულების სქემა. პტოლომეიმ სამყაროს ცენტრში მოათავსა „უძრავი“ დედამიწა, რომლის გარშემო ბრუნავს მთვარე, შემდეგ merkuri და შეერკური, შემდეგ მზე, ხოლო მზის შემდეგ მარსი, იუპიტერი და სატურნი. პლანეტების შემდეგ მოათავსა უძრავ ვარსკვლავთა ცა, შემდეგ რაღაც უცნობი ძალა ეგრეთწოდებული „პირველი მამოძრავებელი“, რომელსაც მოყავდა მოძრაობაში ვარსკვლავთა ცა და ყველა პლანეტა. შემდეგ კი იმლებოდა სივრცე, რომელსაც პტოლომეი თვლიდა „წმიდანთა სამყოფელად“, — სამოთხედ. რელიგიის ახსნით სამოთხეში ცხოვრობდა ღმერთი, ანგელოსები, მიცვალებულთა სულები.

პტოლომეის მიერ მოგონილი სამყაროს აგებულების სქემა ძალიან მოსწონდათ რომის პაპს, კარდინალებს, მღვდლებსა და ბერებს, რადგან ეს სქემა ზედმიწევნით უდგებოდა ბიბლიური ზღაპარს ქვეყნიერების გაჩენის შესახებ. „ალმაგესტი“ მათ მიერ მიღებული იქნა „წმიდა წიგნად“ და ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრი ამ წიგნის შესახებ ითვლებოდა უდიდეს ცოდვად ღვთის წინაშე. 14 საუკუნის განმავლობაში რელიგიის მიერ ჩახშობილი იქნა ყოველი ახალი აზრი სამყაროს შესახებ. ვერავის გაებედა გამოსულიყო პტოლომეის „წმიდა წიგნის“ წინააღმდეგ, რადგან, თუ ვინმე საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა, მას ეკლესიის მსახურნი კოცონზე დასწვავდნენ.

პტოლომეის „წმიდა წიგნს“ პირველი მძლავრი ლახვარი ჩასცა დიდი მეცნიერის ნიკოლოზ კოპერნიკის წიგნმა, რომელიც მხოლოდ მისი სიკვდილის წინ 1543 წელს გამოქვეყნდა. იგი მეცნიერულად ამტკიცებდა, რომ დედამიწა არ წარმოადგენს სამყაროს ცენტრს, ის ბრუნავს თავის ღერძისა და მზის გარშემო. კოპერნიკის ამ ჭეშმარიტმა გამოკვლევამ სწრაფად იწყო გავრცელება სწავლულთა შორის. ეს თეორია საფუძველს აცლიდა და მთლიანად ანგრევდა სამყაროს აგებულების რელიგიურ წარმოდგენებს, რამაც სასულიერო წოდება აღაშფოთა. მათ დიდი სისასტიკით იწყეს ამ მეცნიერული თეორიის აღმოფხვრა. სასწრაფოდ აკრძალულ იქნა კოპერნიკის წიგნი. ისინი აგროვებდნენ და სწვავდნენ ამ წიგნებს, სდევნიდნენ და საგანგებოდ სჯიდნენ ყველას, ვინც იზიარებდა კოპერნიკის ჭეშმარიტ მეცნიერულ თეორიას.

ამ თეორიის პირველი, ყველაზე უფრო გაბედული და ბრწყინვალე პროპაგანდისტი ჯორდანო ბრუნო იყო. იგი დაიბადა 1548 წელს, ნეაპოლის მახლობლად, პატარა ქალაქ ნოლაში. ჯერ კიდევ 15 წლისა იყო, როცა ბერად აკურთხეს. შემდეგ მან 1572 წელს ქალაქ კომპანიეში მიიღო მღვდლის წოდება. ნიჭიერი ახალგაზრდა ჯორდანო დამოუკიდებლად სწავლობდა ფილოსოფიასა და მეცნიერების სხვადასხვა დარგს.

კოპერნიკის წიგნი ჯორდანო ბრუნომ დიდი ყურადღებით შეისწავლა და დარწმუნდა, რომ კოპერნიკი მართალი იყო. მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თავისი მოღვაწეობა შეეწირა სამყაროს აგებულების ამ ჭეშმარიტად მეცნიერული თეორიის პროპაგანდისათვის. იგი პტოლომეის გეოცენტრული სისტემისა და რელიგიური დოგმატების წინააღმდეგ გაბედული აზრებით გამოვიდა.

ბრუნოს რელიგიამ ბრალი დასდო სარწმუნოების შეცდომაში. მოინდომეს მისი დასჯა. 1575 წელს ბრუნომ თავს უშველა, დატოვა მონასტერი და გაიქცა რომში. შემდეგ მან მთელი ევროპა მოიარა: ცხოვრობდა ჟენევაში, ტულუზაში, პარიზში, ლონდონში, პრაღაში, ვიტტენბერგში, ფრანკფურტში და სხვა მრავალ ქალაქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორდანო სხვადასხვა დროს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა ლექციებს ასტრონომიაში და ფილოსოფიაში. ხეტდავდა წიგნებსა და წერილებს. გამოდიოდა ხალხში მოხსენებებით, იღებდა დისპუტებში მონაწილეობას. ის ყველგან და ყოველთვის თავის ბრწყინვალე მაღალი ორატორული და გასედული გამოსვლების დროს მკაცრად აკრიტიკებდა არსებულ ცრუ წარმოდგენებს სამყაროს აგებულების შესახებ. მან კოპერნიკზე უფრო ღრმად გაიგო და განაზოგადა ეს თეორია. ის ამტკიცებდა, რომ, როგორც დედამიწა ისე მზეც არ წარმოადგენს სამყაროს ცენტრს; მზე ისეთივე ციური სხეულია, როგორც ყოველი შორეული მოციმციმე ვარსკვლავი ცაზე; არ არსებობს უძრავ ვარსკვლავთა ცა და „წმიდანთა სამყოფელი"; სამყარო უსასრულოა და უსაზღვრო; მასში მატერია არ ქრება; ყოველი სხეული სამყაროში იმყოფება განუწყვეტელ მოძრაობაში და სახეცვლილებაში.

მზეს დედამიწასთან ერთად პლანეტები უვლის გარს, რომელთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე დღესაა ცნობილი.

ბრუნო ამტკიცებდა, რომ ამ უსაზღვრო სივრცეში განუსაზღვრელი რაოდენობითაა ისეთი მზეები — ვარსკვლავები — რომელთაც ჩვენი მზის მსგავსად აქვთ პლანეტური სისტემა. იგი ასკვნიდა, რომ უამრავია ისეთი პლანეტა, მსგავსად დედამიწისა, რომლებზედაც დასახლებულია ადამიანები.

ყველა ეს გენიალური მიხვედრები და მტკიცებანი დიდი ხნის შემდეგ დღევანდელი მეცნიერული მიღწევებით დადასტურდა.

ჯორდანო ბრუნოს ასეთი გამოსვლები რწმენას უკარგავდა ადამიანს რელიგიისადმი.

მართლაც, თუ დედამიწა არ წარმოადგენდა სამყაროს ცენტრს, არსად არ არსებობდა წმიდანთა და ღმერთის სამყოფელი და კაცობრიობა არ იყო ღმერთის ქმნილება, მაშინ ბიბლიური ლეგენდები კარგავდნენ ყოველგვარ აზრს.

ბრუნოს პროპაგანდამ წინააღწორობიდან გამოიყვანა რელიგიის მსახურნი. ისინი ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, დაესაჯათ ჯორდანო ბრუნო.

რომის პაპმა და მისმა ახლობელმა კარდინალებმა აიძულეს ბრუნოს მეგობარი სწავლული ბერი მოჩენიგო, რათა მას მოტყუებით მოეწვია ჯორდანო თავის სახლში.

განაწამები მეცნიერი ენდო ძველ მეგობარს. იგი ფიქრობდა რამდენიმე წელს მაინც უშიშრად იმრომეტდა მასთან. 1592 წელს ჯორდანო ჩავიდა ვენეციაში, მაგრამ მოჩენიგომ იგი მუხანათურად გასცა და ხელთ ჩაუგდო გამოროტებულ ეკლესიის მსახურთ.

შვიდი წელიწადი იტანჯებოდა პატიმრობაში ჯორდანო ბრუნო. აწამებდნენ, სტანჯავდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ, რათა მას უარეყო თავისი შეხედულებანი. მაგრამ დიდი მეცნიერი პასუხობდა:

— „მოაზროვნეს ერთ საუკუნეში სიკვდილი უკვდავს ხდის შემდეგ საუკუნეში".

გადაწყდა მისი სიკვდილით დასჯა. 355 წლის წინათ — 1600 წლის 17 თებერვალს—რომში, „ყვავილების მოედანზე" აღიმართა კოცონი. შავად შეტანერვილმა ეკლესიის მსახურებმა მას ხალხის თანდასწრებით წაუკითხეს განაჩენი. ჯორდანო ბრუნომ მშვიდად მოისმინა იგი და ამაყად წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვები:

„თქვენ წარმოთქვამთ ამ განაჩენს უფრო დიდი შიშით, ვიდრე მე მას ვისმენ!".

მისჯილი წყნარად ავიდა კოცონზე. ჯალათებმა მიაკრეს იგი სვეტზე და ცეცხლი წაუკიდეს.

1900 წელს ამავე ადგილას აღმართული იქნა მეცნიერებისათვის წამებული დიდი მოაზროვნის ძეგლი, მაგრამ იგი 36 წლის შემდეგ ახალმა ბარბაროსებმა — ფაშისტებმა დანგრიეს.

დოცენტი **გ. თევზაძე**



„გოგია და ტოლია"

ბედნიერი საბჭოთა ბავშვების შრომის, დასვენების და გართობის მიმზიდველი სურათებია დახატული მაყვალა მრევლიშვილის ლექსთა ციკლში, რომელიც ახლახან «საბლიტგამმა» გამოსცა «გოგია და ტოლია»-ს სახელწოდებით.

ორი პატარა მეგობარი — ტოლია კოროლენკო და გოგია კანდელაკი საბავშვო ბაღის სხვა აღსაზრდელებთან ერთად ტოვებენ ქალაქს და სააგარაკოდ მიემგზავრებიან.

ცისფერმა ავტობუსმა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბავშვები კურორტზე მიიყვანა. პატარა დამსვენებლები მოხიბლა ფიჭვნარში ჩაფლულმა ფართო აივნიანმა თეთრმა სახლმა, დიდმა მოედანმა, ყვავილთა და ფრინველთა სიმრავლემ, კისკისა წყარომ. ავტორი მიმზიდველად აგვიწერს იმ მიდამოების სიმშვენიერეს, სადაც ბავშვებმა ზაფხული უნდა გაატარონ.

... და იწყება დაუვიწყარი დღეები. ბავშვები ათვალიერებენ ახლომახლო მიდამოებს, აწყობენ ექსკურსიებს, ესტუმრებიან საბავშვო ბაგელებსაც და საჩუქრად თავიანთი ხელით ნაკეთებ სათამაშოებს მიუტანენ.

დიდი ინტერესით იკითხება სტრიქონები, რომლებიც გოგიასა და ტოლიას «ნადირობის» შესახებ მოგვითხრობენ. ხელთოფებით შეიარაღებული პატარა მონადირეები დიდის ვაივაგლახით გაძვრენ ღობის ქვეშ, ტყის პირს მიუახლოვდნენ. სმენად გადაქცეულნი ელიან მგლის გამოჩენას, რომელმაც წითელქუდა და მისი ბებია ჩაყლაპა. თითქოს არც ეშინიათ, მაგრამ უეცრად ბუჩქებში რაღაცამ გაიფაჩუნა, გაისმა ხარის ბღავილი და მგელზე მონადირეებმა მოკურცხლეს რაც ძალა და ღონე ქონდათ.

შინაარსიანი და საინტერესო ეპიზოდების ფონზე წიგნში კარგად არის ნაჩვენები ბავშვების მეგობრობა. ერთმანეთს ცვლიან პატარა მეგობრებს შორის გულითადი დამოკიდებულების დასამახსოვრებელი სურათები. როდესაც ტოლია ბატებმა შეაშინეს, მას გამოექომაგნენ მისი ამხანაგები და შეერთებული ძალით ბატებს „იერიში" მოიგერიეს. ხოლო წყალმა რომ გოგიას წინდა წაიღო, ტოლიამ წყალში შეტოპა და წინდის დაჭერა მოინდომა.

გავიდა ზაფხული. მდიდარი შთაბეჭდილებით აღსავსე, ჯანმრთელი, გაკაჟებული ბავშვები ქალაქში ბრუნდებიან. მათ სიხარულს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ პირველი სექტემბრიდან სკოლის კარებს შეაღებენ. იწყება მათ ცხოვრებაში ახალი ხანა.

ასე მთავრდება ეს საინტერესო წიგნი. იგი კარგად არის დასურათებული მხატვარ შ. ცხადაძის მიერ.

ბავშვებო, წაიკითხეთ და წაუკითხეთ თქვენს უმცროს და-ძმას მაყვალა მრევლიშვილის წიგნი „გოგია და ტოლია".

ვაჟა მეგბუკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ახალი ამბები

„წითელი ყელსახვევი“

ერთი აუცილებლად ექიმი გახდება, მეორე — მხატვარი, მესამეს ჯერ არ გაურკვევია თავისი მომავალი პროფესია, მაგრამ როდესაც შესცქერი და უსმენ ამ ნამდვილ, ცოცხალ, მეოცნებე პიონერებს, მათთან ერთად გჯერა, რომ რა პროფესიაც არ უნდა ექნეთ მათ, ისინი ყოველთვის დაიცავენ თავისი წითელი ყელსახვევის ღირსებას — იქნებიან ნამდვილი საბჭოთა ადამიანები.

ვალერი, შურა და მარინა — ს. მიხალკოვის პიესის „წითელი ყელსახვევის“ გმირები, თითქოს მაყურებელთა დარბაზიდან გადასულან სცენაზე. წარმატებით განახორციელა ამ პიესის დადგმა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებულმა ქართულმა დრამატულმა წრემ (დამდგმელი ვ. სულაქველიძე). მაყურებელი ტაშით აჯილდოვებდა ვალერის (კ. მგალობლიშვილი, 42-ე სკოლის მოსწავლე), მარინას (ლ. ქოქრაშვილი, 54-ე სკოლის მოსწავლე), შურას (ჯ. მელქაძე, რკინიგზის მე-3 სკოლის მოსწავლე), შემსრულებლებს. კარგად თამაშობდნენ აგრეთვე სხვა შემსრულებლებიც: მოსწავლეები ოთ. ნარჩემაშვილი, ზ. უშვერიძე, რ. ფარემუზაშვილი და სხვ.

„წითელი ყელსახვევი“, რომელიც ავტორმა ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის 25 წლისთავს მიუძღვნა, დიდხანს იქნება ჩვენი პიონერ-მოსწავლეების საყვარელი პიესა.

მწვერვალი „პიონერული“

ვალოდია დუბინინის სახელობის რაზმის პიონერებმა (სოფელი სტოიბა, ამურის ოლქი), გადაწყვიტეს ავიდნენ უსახელო მწვერვალზე. ამ მწვერვალის სიმაღლე ზღვის დონიდან 2000 მეტრია.

ერთ მზიან დღეს პიონერებმა პიონერხელმძღვანელის ჟენია კოროვინის ხელმძღვანელობით დაიწყეს ასვლა. მკაცრი ყინვა იყო, ქროდა მძაფრი ქარი. მაგრამ ბავშვებმა მედგრად გადალახეს აღმართი, რომელიც მოფენილი იყო წაქცეული ხეებით, დაფარული იყო საუკუნოვანი ძეძვებით. დღის ორ საათზე პიონერები მწვერვალზე ავიდნენ. მწვერვალი აღებულია!

გაჩაღდა პიონერული კოცონი. გაისმა „პატრიოტის მარში“. მწვერვალზე საზეიმოდ აღმართეს წითელი სამკერდე ნიშანი. ქვის მღვიმეში ბავშვებმა დატოვეს ბოთლი წერილით: „სიმაღლე აიღეს ვალოდია დუბინინის სახელობის რაზმის პიონერებმა“.

მწვერვალს „პიონერული“ დაარქვეს.

ვაჟასადმი მიძღვნილი დილა

თბილისის პირველ საშუალო სკოლაში უყვართ და მონდომებით სწავლობენ მშობლიურ ლიტერატურას. ამას წინათ აქ მოეწყო ლიტერატურული დილა თემაზე: „ვაჟა ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება“. ცოდნითა და გემოვნებით დამუშავებულმა მოხსენებებმა, შესანიშნავმა მონტაჟმა და მხატვრულმა განყოფილებამ სამართლიანად დაიმსახურა მოსწავლეებისა და მიწვეული საზოგადოების მოწონება. ამ დილის გამართვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დამსახურებულ პედაგოგს ბ. მჭედლიძეს.



და აი, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე კვლავ განმეორდა ეს კარგი ღონისძიება. მოხსენებები ვაჟას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხეს მოსწავლეებმა ჯ. გოგორიშვილმა, ა. შარაშიძემ, ჯ. გიორგაძემ, თ. ბოკუჩავამ, ერთმანეთს ცვლის ლამაზი სცენები — წარმოდგენილი დიდი პოეტის ნაწარმოებთა მიხედვით. ნორჩი დეკლამატორები კითხულობენ ლექსებს, ნაწყვეტებს პოემებიდან და მოთხრობებიდან.

სკოლადამთავრებულმა ვ. კოტეტიშვილმა წაიკითხა ვაჟასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

დასასრულს გაიმართა მხატვრული განყოფილება.

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურულ დილაში ჩაბმული იყო **პიონერ-მოსწავლეთა ფართო მასა.**

სკოლის ნაკვეთში

ქვემო ალვანელებს კარგად მოვლილი ნაკვეთი აქვთ. ეზოს ვერც ერთ კუნჭულს ვერ ნახავთ, რომ დაუმუშავებელი იყოს. თითოეულ ხეს, თითოეულ ბუჩქს, ყოველ მტკაველ მიწას ნორჩების მზრუნველი ხელი ატყვია: ერთგან საბოსტნე ნაკვეთია, მეორეგან — დეკორაციული ბაღი. ვენახის გვერდით ხეხილის ნერგებია, ხეხილის ბაღში — მრავალი ჯიშის მსხალი, ვაშლი, ატამი და ალუბალია დარგული. მარტო ვაშლის ხე 18 ძირია.

ნორჩ მეხილეებს კარლო აქიმიძეს, შიო ხაბაიძეს, თენგიზ თელაურიძეს და ბესარიონ თავბერიძეს ხილის ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანა იზიდავს. ადგილობრივი ხურმა წვრილ, დიდძალ ნაყოფს ისხამს, სუბტროპიკული კი — მსხვილს. მეხილეებმა ისინი შეაჯვარეს, დაამყნეს. ვნახოთ, როგორი იქნება შედეგი.

სასკოლო ვენახი სკოლის სიამაყეა. სამი წლის წინათ აქ 1365 ძირი ვაზი დარგეს: იხარა რქაწითელმა, მწვანემ და საფერავმა. ელიზბარ ზარიძემ, გივი არშაულიძემ, აბესალომ ლილაურმა, ომარ კახოიძემ სანიმუშოდ შეისწავლეს ვაზის მოვლა. შარშან 120 კილოგრამი ყურძენი მიიღეს; ეს იყო პირველი მოსავალი, მომავალ შემოდგომაზე კი ნამდვილ რთველს გააჩაღებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობის წესები და წესრიგი ქუჩაში

ჩვენი საუბრის თემაა მოძრაობის წესები ქუჩაში. და არა მარტო მოძრაობის წესები! მოძრაობის წესების დარღვევა ხშირად ისეთ ხასიათს ატარებს, რომ იგი საერთოდ საზოგადოებრივი ყოფა-ქცევის ნორმების დარღვევაა, უწესობაა და საყოველთაო დამცირების ღირსია.

მოძრაობის წესებს და წესრიგს ქუჩაში თუ ტრანსპორტზე უმთავრესად ბავშვები არღვევენ, ამით ისინი უპატივცემულობას იჩენენ საზოგადოების, უფროსების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ საშიშროებას უქმნიან თავიანთ სიცოცხლეს.

მე თბილისის მილიციის სამმართველოს ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელ განყოფილებაში ვმუშაობ, ამიტომ ყოველდღიურად მიხდება უშუალოდ ქალაქში ყოფნა და მოწმე ვარ მოძრაობის წესების არა ერთგვარი და ორგვარი, არამედ მრავალგვარი დარღვევისა. ამასთან, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მოძრაობის წესებსა და საზოგადოებრივი ყოფაქცევის წესებს უფრო ხშირად მოსწავლე-პიონერები არღვევენ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ხვთაგუროვის ქუჩით მოვემგზავრებოდი. ფილაქანზე ჩხუბითა და კინწისკვრით მოდიოდა ორი მოსწავლე; ხელში ჩანთები ეჭირათ. ერთმა გამოსტაცა მეორეს ჩანთა და შუა ქუჩაში, ტრამვაის ლიანდაგზე გადაუგდო. პატრონი ჩანთისაკენ გაიქცა, ვერ შერნიშნა სწრაფად მომავალი ტრამვაი, წაბორძიკდა, წაიქცა და ტრამვაისაგან ორიოდე მეტრის მანძილზე აღმოჩნდა. ტრამვაის გაჩერება შეუძლებელი იყო და ბავშვი დაიღუპებოდა, რომ ვატმანს ე. კალმაკოვს არ მოესწრო ვაგონის ქვეშ არსებული დამცველი ბადის მყისვე დაშვება. ბადეზე ატაცებული ბავშვი ტრამვაიმ რამდენიმე მეტრზე გაატარა. გადარჩენილი ბავშვი აღმოჩნდა 33-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მიხეილ ოთაროვი. ასეთი სახიფათო მომენტი ხშირია. ვალაპარაკოთ ფოტოსურათებზე:

სურათ № 4-ზე ხედავთ თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე თამაზ დავითულიანს, რომელიც შუა ქუჩაში თამაშობს ბურთს. ერთი შეხედვით, აქ თითქოს არც დიდი დანაშაულია და არც წესრიგის აღმაშფოთებელი დარღვევა. შეიძლება აღმოჩნდეს ვინმე, რომელიც იტყვის, „ბავშვია, ითამაშოსო". მაგრამ დააკვირდით სურათზე მის სახეს, მის გატაცებას. განა შეუძლია მას ასეთ მომენტში შენიშნოს მარქანა, რომელმაც ყოველ წუთს შეიძლება წამოასწროს მას?!

ხშირად მინახავს 66-ე სკოლის წინ გუნდად, უწესრიგოდ შუა ქუჩაში გამოშლილი მოწაფეები. (სურათი № 3). გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ისინი დიდხანს ირევიან სკოლის წინ, შუა ქუჩაში, კინკლაობენ, არ ეგუებიან ტრანსპორტს. ეს სკოლა ენგელსის ქუჩაზე მდებარეობს, ამ ქუჩაზე კი წუთში საშუალოდ ტრანსპორტის ათი ერთეული ჩაიქრიალებს ხოლმე.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება მოძრაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის ისეთი დარღვევები, როგორსაც პირველ და მეხუთე სურათზე ვხედავთ. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ამ მომენტში გადაიღო 59-ე სომხური



საშუალო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე მამეკონ სიმონიანი (სურათი № 1), როცა იგი ტროლეიბუსიდან ჩამოხტა და აპირებდა გაქცეოდა მილიციის თანამშრომელს, რომელმაც იგი შენიშნა და მოუწოდა გაჩერებულიყო. არც მეხუთე სურათია გულისგამხარებელი. ჩანთებით ხელში, პიონერული ყელსახ-

ვევეზით, სამი ბოსწავლე უწესოდ მგზავრობს ტრამვაით. ალბათ, მათი მშობლები, მასწავლებლები და თანაკლასელი ამხანაგები რედაქციას მოსწერენ რა ყოფაქცევისანი არიან ისინი, როგორ სწავლობენ და რა ზომები იქნა მათ მიმართ მიღებული.

ასევე დასაცმობია ბავშვების საქციელი, რომლებსაც მეორე სურათზე ვხედავთ. იქ, სადაც ტრანსპორტის დიდი მოძრაობაა, ბავშვები თვითნაკეთი საგორავით ერთობიან.

ამგვარი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. მაგრამ უმჯობესია ჩავფიქრდეთ იმაზე, თუ რა ზიანი მოაქვს ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევას ჩვენი მეურნეობისათვის, გარდა იმისა, რომ დამრღვევნი თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიან.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ამბავი, რომ ხევრია შემთხვევა, როცა წესრიგის დამრღვევი ბავშვის გადარჩენის მიზნით ტრანსპორტის მძღოლები იძულებულნი არიან დამუხრუჭების ნაცვლად, რაც არასასურველ შედეგებთანაა დაკავშირებული, ხშირად გასწიროან ტრანსპორტი და საკუთარი თავი საფრთხეში ჩააგდონ. ასე, მაგალითად, ხალხით დატვირთული ავტობუსი ამას წინათ ნავთლუღიდან პრუნდებოდა. წინანდლის ქუჩის მახლობლად ტრამვაის უკანა ბაქნიდან ახლო მანძილზე ჩამოხტა 12 წლის მოსწავლე. ბავშვი იმდენად ახლოს იყო ავტობუსიდან, რომ მისი დამუხრუჭება ამაო იყო; ძღოლმა საჭე უცებ მიაბრუნა მარჯვნივ: ბავშვი გადარჩა, მაგრამ მანქანა დაეჯახა გამაგრილებელი წყლის ფარდულს, დაზიანდა როგორც მანქანა, ასევე ფარდული, ფარდულის თანამშრომელი და მანქანაში მსხდომი მგზავრებიც.

მიასნიკოვის ქუჩაზე ასეთსავე შემთხვევაში სწრაფად დამუხრუჭებული ტრამვაის მოტორი მწყობრიდან გამოვიდა. ეს დაემართა ისეთ გამოცდილ ვატმანს, როგორიცაა ამხ. მალიკი, იგი 40 წელიწადია მუშაობს ტრამვაიზე. მოტორის მწყობრიდან გამოსვლამ ცხადია გამოიწვია ტრანსპორტის ერთხანს შეფერხება.

უნდა გვახსოვდეს ის ამბავიც, რომ ქალაქში ტრანსპორტის შეფერხება, რასაც მოძრაობის წესების დარღვევა იწვევს, აგვიანებს ნედლეულის მიწოდებას ფაბრიკა-ქარხნებში, აგვიანებს წარმოებებში მიმავალ მუშა-მოსამსახურეებს, მწყობრიდან გამოჰყავს ტრანსპორტი, რაც ხელს უშლის ჩვენს გეგმიან წარმოებას და ზარალს აყენებს ჩვენს სახალხო მეურნეობას.

ბავშვებო, ტრანსპორტის დიდი მოძრაობა სამშია მხოლოდ მისთვის, ვინც არ იცნობს ქუჩაში მოძრაობის წესებს, ან იცნობს და არ იცავს მას. შეისწავლეთ და დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები.

ვ. ნავრუზაშვილი.

მილიციის პოდპოლკოვნიკი, თბილისის მილიციის სამმართველოს ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი განყოფილების უფროსის მოადგილე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ ყველაფერზე

მეთაფლია ჩიტუნა

აფრიკაში ცხოვრობს ძალიან საყვარელი ჩიტი, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი მეთაფლიას ეძახიან. მეთაფლიას, როგორც უკვე მიხვდებოდით, თაფლი უყვარს. აღმოაჩენს თუ არა ტყეში თაფლის ბუკს ან სკას, გაფრინდება მახლობელ სოფელში და გაცხარებული ჭიკჭიკით აცნობებს ადამიანებს თავის აღმოჩენას. ზანგებმა უკვე იციან რაშია საქმე, აღიჭურვებიან კალათებით, ნაჯახით და დაუყოვნებლივ მიჰყვებიან მეთაფლიას. ჩიტი ხიდან ხეზე ხტის და მხიარული ჭიკჭიკით აჩქარებს მათ. როდესაც თაფლიან ადგილს მიუახლოვდებიან მეთაფლია ხტუნვას უჯლებს და გაცხარებით ჭახჭახებს: ეს—ნიშანია! ადამიანები ამოიღებენ თაფლს და ცოტას ჩაუტოვებენ ჩიტსაც. უფრო ხშირად ჩიტს არაფერს შეახვედრებენ. ადამიანების უმადურობით გაგულისებული მეთაფლია ბედსა სცდის: ახლა მეორე ბუკს უჩვენებს მათ, მერე — მესამეს, და ასე შემდეგ, სანამ მასაც არ გაასველებინებენ ნისკარტს.

საღაც ადამიანები არ ცხოვრობენ, იქ მეთაფლია დათვს შეიზიარებს ხოლმე.

ასეთია მეთაფლია, ავ ძაღლს როდი ჰგავს: თვითონაც ჭამს და სხვასაც აჭმევს.

მილიონთავიანი მტერი

ალბათ, არაერთხელ მოგისმენიათ ზღაპარი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ დაამარცხა უმცროსმა ძმამ სამთავიანი გველეშაპი. სხვა ზღაპარში გველეშაპი ან დევი შეიძლება აღმოჩნდეს ხუთთავიანი, შვიდთავიანი, თორმეტთავიანი... რას იზამდა ჩვენი ზღაპრული გმირი, რომ მას ომი შეხვედროდა მილიონთავიან გველეშაპთან?

ასეთი გველეშაპი კი არსებობს ჩვენს დროში. ეს არის კალია — მილიონთავიანი მტერი ირანის, ავღანისტანის, პაკისტანის, ინდოეთის ბაღების, ნათესების და ტყეების.

კალიები ღრუბლებად გადაივლიან ველ-მინდვრებზე და მათ ნაკვალევზე ნადგურდება ადამიანის ხელით ყოველგვარი მონაგარი. საშინელია მათი ღორმუცელობის ძალა. ერთი ასეთი „ღრუბელი" ორმოც მილიონ ტონას იწონის. ერთ კილოგრამში კი ხუთასი კალიაა. ე. ი. ერთი ღრუბელი კალიისა იწონის იმდენს, რამდენსაც აიწონის შვიდასი მილიონი კაცი. ეს კი ორჯერ მეტია, ვიდრე ინდოეთისა და პაკისტანის მოსახლეობა ერთად.

ჩვენმა მეცნიერებმა შეისწავლეს კალიასთან ბრძოლის მეთოდები და უშიშარი გახადეს ჩვენი სამშობლოს საზღვრები მათი შემოსევისაგან.

გამჭვირვალე გუმბათი

ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორმა რიჩარდსონმა წამოაყენა წინადადება, რომ შეიძლება სტადიონები და სხვა ნაგებობანი დავიცვათ წვიმისაგან და თოვლისაგან გუმბათით. გუმბათი გაკეთდება ორმაგი გამჭვირვალე და მოქნილი პლასტმასისაგან, მისი აწევა შეიძლება და გადაეხურება სტადიონს ან სხვა ნაგებობებს. სუფთა ჰაერი შედის გუმბათის ძირში გაკეთებული ჭრილებიდან, ხოლო არა სუფთა ჰაერი გავა გუმბათის ჭერში, სპეციალური კლაპანებიდან.

ამ გუმბათის გამოყენებით შესაძლებელი იქნება უსახურავო და მსუბუქკედლებიანი სახლების შენება. მეცნიერმა შეიმუშავა იმის ხერხებიც, რომ გუმბათი ხელს არ უშლიდეს მზის სხივებს.

ამჟამად რიჩარდსონი მუშაობს ამ გუმბათის მოდელის გამოყენებაზე ერთ აკრ ფართობზე.

გეოგრაფიული კუ

ორას ორმოცდაათამდე სახის კუ არსებობს. იგი ცხოვრობს უდაბნოში, ტყეებში, ხშირალ ადგილებში, ტრამალებში, მდინარეებში, ტბებში, ჭაობებში და გუბეებში. ზღვის კუ მთელ სიცოცხლეს ზღვაში ატარებს და სიმშრალეში მხოლოდ კვერცხს დასადებად ამოდის.



კუს ყველაფერი უჩვეულო აქვს: ტანზე ჯავშანი აცვია, საიდანაც თავს, ფეხებს და კუდს გამოყოფს ხოლმე; რქისებური ნისკარტი კბილების მაგივრობას ასრულებს. მას შეუძლია უთავოდ რამდენიმე კვირა გაძლოს, უსაჭმელოდ კი—მთელ წელიწადს.

გვხვდება გიგანტებიც, რომლებიც ორი მეტრი სიგრძისა არიან და რამდენიმე ასეულ კილოგრამს იწონიან. არის სულ პატარა, ნამცეცა კუც, ათი სანტიმეტრი სიგრძისა, რომელიც 200 – 300 გრამს იწონის.

კუ საშუალოდ 150 წელს ცხოვრობს. განსაკუთრებით ზღვის კუს კვერცხი და ხორცი მეტად სასარგებლოა. ზოგ მხარეში, სახელდობრ ამერიკაში, კუს მოსაშენებლად სპეციალური ფერმები არსებობს. მისი ცხიმისაგან ძვირფას ტექნიკურ და საჭმელ ზეთს ამზადებენ. დიდი ხანი არ არის რაც კუს ძვლებისაგან ძვირფას სავარცხლებს ღილებს, გულისქინძისთავებს და სხვა სამკაულებს ამზადებდნენ. ახლა კი იგი პლასტმასამ შეცვალა.

ზოგიერთ კუს „გეოგრაფიულ კუს" ეძახიან, ვინაიდან მისი ჯავშნის რთული სახეები კონტინენტების, კუნძულებისა და ზღვების მოხაზულობას მოგვაგონებს.

„თაფლის" პალმა

ჩილის ქალაქ ვალპარაისოს მიდამოებში იზრდება უზარმაზარი 30—35 მეტრის სიმაღლის პალმა იუბეია, რომლის ტანი ძირში 15—20 მეტრის მანძილზე გაბერილია, გვირგვინის ახლოს კი ვიწროვდება. ზევით, თითქოს გიგანტური ბოთლის ყელიდან ამოდისო, გამოშვერილი აქვს გრძელი და ოდნავ პრიალა ფოთლები. მისი მორუხო—თეთრი დანაოჭებული ქერქი სპილოს ტყავს წააგავს, ამიტომაც იუბეიას ხშირად „სპილოს ხეს" უწოდებენ. პალმა ძვირფასია უმთავრესად მისი წვენის გამო, რომელიც ბლომად შეიცავს შაქარს.

ამ წვენს ბარბაროსული გზით მოიპოვებენ. იუბეიას ძირთან გადახერხავენ, იმ ანგარიშით, რომ გადავარდნისას გვირგვინით სხვა ხეებს გამოედოს და დაწოლილ მდგომარეობაში დარჩეს. გადანახერხიდან 6 კვირის განმავლობაში მოჟონავს გამჭვირვალე სითხე.

ხე იძლევა 300—400 ლიტრ წვენს. მას აგროვებენ ხარშავენ გასქელებამდე და მიიღებენ „თაფლს".

ასეთი გამანადგურებელი წესით პალმის წვენის მოპოვებამ მთლად გაამეჩხერა ვალპარაისოს მიდამოებში „თაფლის" პალმის ოდესღაც დიდი ტყეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

თ. გიორგაძის რედაქციით

ბორის სპასკი

ამას წინათ მოსკოვში ჭადრაკში საბჭოთა კავშირის XXII პირველობაში თავი ისახელა 18 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ბორის სპასკიმ. მან III — IV — V — VI ადგილები გაინაწილა მსოფლიო ჩემპიონ ბოტვინიკის, გროსმაისტერ პეტროსიანისა და ოსტატ ილივიცკისთან ერთად. სპასკიმ თავისი გაბედული, გონებამახვილური, ცოდნით განმტკიცებული თამაშით საერთო სიმპატია დაიმსახურა. ნიჭიერმა ჭაბუკმა დაამარცხა სახელგანთქმული გროსმაისტერები ე. გელერი, მ. ტაიმანოვი, ი. ავერბახი, ხოლო შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან ყაიმით დაამთავრა. მიღწეულ წარმატებით სპასკიმ მოიპოვა უფლება ამ ზაფხულში მონაწილეობა მიიღოს ჰეტებორგის საერთაშორისო ტურნირში, სადაც უნდა შეირჩეს მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის მებრძოლი მოჭადრაკეები.

მოგვყავს მ. ტაიმანოვთან (შავები) მოგებული პარტიის დაბოლოვება.



15. მ : b5! ab (თითქმის იძულებითია მხედრის მოკვლა. თუ 15....ეc8, მაშინ 16. ლh5 + ლf7 17. მ : c7 + ე : c7 18. ედ8 + მფ : d8 19. ლ : f7, ხოლო 16....მg6-ზე იქნება 17. მ : g6 ლf7 18. ლh3! და არ შეიძლება 18.... ლ : g6 19. ლd7 × გამო.) 16. ლh5 + ლf7 17. ე : a8 + კ : a8 18. ედ8 + მფ : d8 19. ლ : f7 gh 20. ლ : f6 ეg8 (მართალია შავებს ლაზიერში სამი ფიგურა დარჩათ, მაგრამ მათი მეფის მდგომარეობა არაა სახარბიელო.) 21. f3 h3 22. g3 მფe8 23. ლ : e5 ეg6 24. ლ : b5 + კc6 25. ლb8 + მფf7 26 ლ : c7 (სპასკიმ მოიგო შავების თითქმის ყველა პაიკი) ეf6 27. კg5 ეe6 (მაგრამ არა 27...ე : f3, 28. კ : e7 გამო) 28. b4 მფg8 29. ლb8 მg6 30. მფf2 მe5 31. b5 კe8 32. კe3 კd6 33. ლc8 მფf7 34. b6 ეf6 35. კf4 b7 კe6 37. კ : e5 კ : e5 38. b8ლ კ : c 8 39. ლ : e5 ტაიმანოვი დანებდა.



შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
გიორგი კაჭახიძე — ჩვენი დროშა (ლექსი)		1
გრიგოლ იმედაძე — ცხრა მაისი (ლექსი)		2
შალვა ციხისელი — თანაშემწე (მოთხრობა)		3
შალვა ამისულაშვილი — გონგორა (ლექსი)		8
გიორგი ლეჟავა — ჩვენი სკოლის დარაჯი (ლექსი)		8
რ უ ს ტ ე მ ი — უცნობი თურქი მწერლის მოთხრობა,		
	ა. ებრალიძემ	9
რევაზ ჯაფარიძე — ამბერკის ბიჭი (მოთხრობა)		11
ნ ო რ ჩ ი ტ ა ლ ა ნ ტ ე ბ ი — (ფოტონარკვევი)		15
ფრიდრიხ შილერი — ტურანდოტი (მე-4 გამოსვლა პიესიდან,		
	თარგმნა ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე წ უ კ ე ლ მ ა)	18
ივანე ურჯუმელაშვილი — თამარაშენში (ნარკვევი)		22
ი. ნანავა — სიმინდი (წერილი)		23
მზია ჯუღელი — დილის გამამხნევებელი ვარჯიში (სპორტის		
	ოსტატის საუბარი)	24
გ. თევზაძე — ჯორდანო ბრუნო (წერილი)		26
ვაჟა მებუკე — „გოგია და ტოლია“ (წერილი)		27
პ ი ო ნ ე რ უ ლ ი ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი		28
ვ. ნავრუზაშვილი — მოძრაობის წესები და წესრიგი ქუჩაში		
	(ნარკვევი)	29
მ ო კ ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე		31
ჭ ა დ რ ა კ ი		32
გ ა ს ა რ თ ო ბ ი	(გარეკანის)	3

გარეკანის პირველ გვერდზე—„მაისის დროშა“ — ნახატი **ალ. გიგოლაშვილისა.** გარეკანის მეორე გვერდზე—„დროშის აღმართვა რეიხსტაგზე“—ნახატი სახალხო მხატვრის **უჩა ჯაფარიძისა.**

გარეკანის მეოთხე გვერდზე „თვითმფრინავი მთაში“ — ნახატი **რ. სტურუასი.**

ჟურნალი დასურათებულია **გ. ფოცხიშვილის, რ. ცუცქირიძის, კ. მახარაძის, შ. ცხადაძის** და **გ. თოთიბაძის** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა: **რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო **რედაქტორი**), **ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.**

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს ულ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Май № 5, 1955.
Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბჭოტგამი.

უე 03243 ტირაჟი 15.000 ხელმოწ. დასაბ. 18/V გამომც. შეკვ. № 140. სტამბის შეკვ. № 623. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკური თავსატეხი



კვადრატში ჩვიდმეტი წრე არის. მოცემულ ჩვიდმეტ წრეში ჩაწერეთ რიცხვები ერთიდან ჩვიდმეტამდე ჩათვლით ისე, რომ თითოეულ სამკუთხედზე განლაგებული შვიდი წრის რიცხვების ჯამი უდრიდეს 50-ს. რიცხვი 1 უნდა ჩაიწეროს კვადრატის ცენტრში.

ორი ამოცანა—ხუმრობა ასანთის ღერებით

1. დაალაგეთ ასანთის შვიდი ღერი, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, და მიუწყეთ კიდევ ექვსი ღერი ისე, რომ მიიღოთ ათი.

2. დაალაგეთ ასანთის ცხრა ღერი, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, და გადააადგილეთ ორი ღერი ისე, რომ მიიღოთ ორი.

თავსატეხი



სწორკუთხედი, რომელზეც ოთხი ხეა დახატული, დაჰყავით ოთხ თანაბარ და ამავე დროს ერთნაირი ფორმის ნაწილად ისე, რომ ყოველ ნაკვეთზე თითო ხე მოხვდეს და ხაზებმა ხეები არ გადაჰკვეთოს.

გასართობები შეადგინა **გ. გასპარიანმა**

პასუხები ჟურნალ „პიონერის“ № 4-ში მოთავსებულ გასართობზე

პასუხი კროსვორდზე

ჰორიზონტალურად

3. მარილი. 5. ენგური. 9. გრინვიჩი. 10. ორმო. 11. აკვარელი. 14. პასტერი. 15. სიმინდი. 16. კირი. 20. არგონი. 21. ორბი. 22. ქარი. 23. ციდაო. 25. აისი. 27. „ივერია.“ 28. ასკილი. 33. კალინინი. 34. რიცა. 35. ალიუმინი. 36. იტალია. 37. ლიახვი.

ვერტიკალურად

1. კამეჩი. 2. არტეკი. 4. ლიმონი. 6. ნილოსი. 7. თბილისი. 8. ერესუნი. 12. მესოპოტამია. 13. ემილ გილელსი. 16. კორსიკა. 17. იანვარი. 18. წაბლი. 19. ირანი. 24. შეფილდი. 26. ციმბირი. 29. კარაქი. 30. თეატრი. 31. ანესტი. 32. ქლიავი.

პასუხი თავსატეხზე



მოცემული ოცი ნაწილი უნდა დავალაგოთ ისე, როგორც კვადრატზეა ნაჩვენები.

ფასი 2 მან.
5·250/35